

ახალი პაროლი საჭირო რეალიზაციის  
ისტორიიდან

(ნორმალიზაციის პრინციპები „ივერიაში“)

ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, მასზე სახელმწიფო ზრუნავს. ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისთვის სისტემატურ, გეგმაშეწონილ მუშაობას ხელმძღვანელობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობს. ნორმების დადგენა ხდება იმ პრინციპთა მიხედვით, რომლებიც შეიძლება განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილმა სპეციალურმა რესპუბლიკურმა კომისიამ (არნ. ჩიქობავას მოხსენების საფუძველზე) და რომელიც საფუძვლად დაედო ჯერ ამ კომისიის სახელით 1936 წ. გამოცემულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებულს და შემდეგ — 1970 წ. გამოცემულ კრებულს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. პირველი კრებული“ (რომელშიც ის მცირე რედაქციული ცვლილებებით შევიდა). ამ პრინციპებს ემყარება დღესაც სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები მეცნიერულ წანამდლვრებზეა დაფუძნებული, ენის ძირითადი სპეციფიკიდან ამოდის:

ენა სისტემა — ენობრივ ნიშანთა ორგანიზებული სიმრავლეა. ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ფორმულებისა და პარადიგმების მოწესრიგებული ერთობაა.

ენა სოციალური მოვლენაა, ურთიერთობის საშუალებაა. მიტომ ენობრივი ფაქტი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქმარება ენობრივი კოლექტივის მიერ, მიღებულია გაგებინების საშუალებად, დამკვიდრებულია ენაში, აქვს სახოვალოებრივი სანქცია.

ენობრივი სისტემა ისტორიულად ცვალებადია — ერთი ეპოქის (მაგ., ძველი ქართულის) სისტემისთვის კანონიერი ფორმა ხშირად უცხოა მეორე სისტემისათვის (მაგ., ახალი ქართულისათვის).

სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას ემყარება, მაგრამ განსხვავდება მისგან.

თავდაპირელი და სალიტერატურო ენა ერთ რომელსამე კილოზე იღებს ორიენტაციას და სხვა კილოგრამს განუშევასწლივ იახლოებს და უახლოვდება, მაგრამ სალიტერატურო ენის გზა არც ერთი კილოს განვითარების გზას არ ემოხვევა მთლიანად. დიალექტები სალიტერატურო ენის გამდიდრების უშროესი წყაროა.

ამის წყალობით სალიტერატურო ენა საერთო ენაა მთელი ერისათვის, ეროვნული ენაა. ამდენად ის უნდა იყოს ერთსა და იმავე უროს ერთანი, დახვეწილი.

ნორმათა მოწესრიგება გულისხმობს სალიტერატურო ენის უკალა მხარის — ფონეტიკის, მორფოლოგის, სინტაქსის — საღავო ხაკითხების გადაწყვეტას.

ნორმათა დადგენას საფუძვლი ედება ობიექტური ანალიზის პრინციპი. ანალიზის ობიექტია სალიტერატურო ენა, რომლისთვისაც ნორმებს ვეძებთ. ე. ი. გაიანლიზდება ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის ისტორია, გაირკვევა რამდენად ეგცება ეს მოვლენა ენის განვითარების ტენდენციებს, რამდენად გამართლებულია დღევანდელი ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, რამდენად გავრცელებული და დამკვიდრებულია ენაში (ე. ი. აქეს თუ არა სოციალური სანქცია), როგორიცაა მისი გამოყენების სისშირე კლასიკოსთა ენაში, არის თუ არა სხეაზე უფრო მარტივი წარმოების პრინციპის მიხედვით და ნათელი — მნიშვნელობის მიხედვით.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპთა შემუშავებას წინ უძლოდა თითქმის საუკუნოებინი ფიქრი, სჯა, მუშაობა ნორმალიზაციის თეორიულ საკითხთა გარშემო.

მე-19 ს-ის 50-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ერთი და ერთიანი სალიტერატურო ენისათვის, სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში ბევრი საჭირო როლი საკითხი წამოჭრილი. მსჯელობისა და ცხარე კამათში თანდათან ყალიბდებოდა მოსაზრებები როგორც კონკრეტულ, ისე ზოგად თეორიულ საკითხთა შესახებ.

ჩვენ საშუალება გვქონდა თვალი გაგვეღენებინა XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის 10—20-იანი წლების მოღვაწეთა ნამზრევისათვის სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. ამ საკითხებით აღრცე დაინტერესებულიან ჩვენი მკლევრები. ჩვენ შევეცადეთ უფრო სრულად გავცნობოდით ამ მასილის.

1 ს. გორგაძე, ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან: გ. „შნათობი“, 1925, №№ 1 და 3; 1926, № 5—6; შ. ძობიგურია, ქართული საშუალობო ენის სიწმინდისათვის ბრძოლას ისტორიიდან: „შნათობი“, 1957, № 3, გვ. 60—70.

ამჯერად გვინდა წარმოვადგინოთ ერთი ნაშილი ამ მისალისა, კერძოდ, ილია ქავერიამის თაოსნობით შექმნილ ბეჭდვით ორგანოებში („საქართველოს მომზესა“ და „ივერიაში“) მომვაწე ავტორთა შეხედულებები, მათ მიერ შემოთავაზებული თეზისები, რომლებიც უმატესად სხვადასხვა წერილებშია ცალკეულ დებულებებად წარმოდგენილი, მაგრამ ერთად თავმოყრილი, საინტერესო სურათს იძლევა და წარმოდგენას გვიმნის სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპთა შემუშავების, ჩამოყალიბების ისტორიაზე.

შეტი გარკევულობისათვის ცალ-ცალკე წარმოვადგენით „საქართველოს მომზესა“ და „ივერიაში“ მოღვაწე ავტორთა პრინციპულ დებულებებს. ზოგი ავტორი სხვაგანაც ქვეყნებდა წერილებს ენის საკითხებზე, მაგრამ მათი მოსახვალი პრინციპები ძირითადად უცვლელი რჩებოდა. თვით ილიაც ჯერ კიდევ „ისეკირში“ მსჯელობდა ამ პრინციპებზე. ეს მასალაც ქვეყნალისწინებულია.

I. ილია ჭავჭავაძე. ცნობილია, რომ ახალი სალიტერატურო ქართული ენისათვის ბრძოლის სათავეში ელგა და წარმართავდა ილია ჭავჭავაძე. იგი შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის წართმეულ უფლებათი თანადგენად სკოლაში, სასამართლოში, დაწესებულებებში, უკლესიაში... ასეუე, ენის გასამდიდრებლად, დასახვეწილ, რაღვან სწამდა, რომ „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“<sup>2</sup>. ილია პრატეტეულად იღვწოდა ენის გამარტივება-გახალხურებისათვის, ლექსიკური მარაგის შესავსებად, ტერმინების შესაქმნელად და ა. შ. იგი განსაყუთრებულ ყურადღებას ქიცევდა ენის სიშმინდეს. როგორც ი. მანსვეტაშვილი იგონებს, ილია კატეგორიულად მოითხოვდა, ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისაგან, რაღვან ენა არის ბურჯი ერისა, მისი მეობის ნიშანი, მისი არსებობის აუცილებელი პირობაო. „ენას ისე უნდა ვულოლიავოთ, მოუსართ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს, ენი არის დედაბობი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედაბობი გამოვაცალეთ... ჭერი ჩამოგვენგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს და ჩევენი მშობელი ქვეყანა, ჩევენი საქართველო განადგურდება, განიაედება დედამიწის ზურგზეო“<sup>3</sup>. ამიტომ საგამეოთ

აგრძელებულ წევნში: „სიტყვის ცხოვრება“, თბ., 1988, გვ. 167—187; ქ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენის საკითხის სამოციანი წლების ქართული კრიტიკაში, აცისკართვის, 1966, № 1.

2. ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1881, მაისი, თხ. ტ. V. გვ. 80. მოთიხებული გვექვს პ. ინგოროვას რედაქტორობით გამოსული ათტომეტების შიხედვები (1951—1961 წწ.). სხვა გამოცემების ვამსყენების ორიოდე შემთხვევაში აქვთ კუთითებო გამოცემას.

3. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 74.

მასალას მთელი რედაქცია ილიას მეთაურობით კითხულობდა, აშა-  
ლაშინებდა, ასწორებდა და მხოლოდ შემდგა უშევებდა დასაბეჭდია.

ილიას უახლოესი თანამშრომლის გრ. ყიფშიძის სიტყვით, ილია  
„დიდ უურადღებას აქცევდა უფრო ენის სიწმინდეს, კანონიერებას,  
ქართულის შესაბამისად სიტყვების დაწყობას და დასურათებით აზ-  
რის გამოთქმას გლეხეკაცურ კილოზე, თვით ღრმა მცოდნე იყო ქარ-  
თულისა და ყოვლის ონისძიებით ცდილობდა, რომ განეთში ყოვე-  
ლივე წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. მა საჭმეში თვით  
იყისრა უფროსობა და ჩაგვიყოლია უმცროსებია“<sup>4</sup>.

თავის წერილებში ილია ხშირად ეხება ენის საკითხებს. ყოველი-  
ვე ამის მიუხედავად, ილიას მდიდარ მემკვიდრეობაში ენის თეორიულ  
საკითხთა შესახებ რაიმე საგანგებო ნაშრომი არ ჩანს, მაგრამ მის მრა-  
ვალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში გაბნეულია მოსაზრებები,  
დებულებები, მსგელობა, რომელთაგან ზოგი შეიძლება დღეს გასა-  
ზიარებელი აღარ იყოს, მაგრამ დადი უმრავლესობა ძალზე სიყურად-  
ებო, სავსებით მართებული, ღრმა აზრის შემცველია და იხალი ქარ-  
თული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის მოსავალ დებულებებს  
წარმოადგენს.

ილიას და მისი უახლოესი თანამშრომლისა და თანამებრძოლის—  
დავით ყიფიანის წერედულებები დაედო საფუძვლად იმ პოზიციას,  
რაც „საქართველოს მოამბესა“ და „იერიაში“ ჩამოყალიბდა.

ილიას დებულებები ასეთია:

1. ენა არსებითი ნიშანია ეროვნებისა.

2. ენა ცვალებადია (ის იზრდება ვითარდება) ცვალებადია ენის  
კანონებიც: „ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი.  
სხვა დროს უვარებისი არიან ხოლმე. ამიტომ ახალი ენა ძველ ენს  
არა ჰგავს“<sup>5</sup>.

3. ენის კანონები ენაშივე უნდა კვებოთ. გრამატიკა არ არის ნორ-  
მატიული მეცნიერება, რომელიც კანონებს, ნორმებს უწესებს და  
უკარნახებს ენას. გრამატიკა თვით ენის სინამდვილიდან მოდის, ენა-  
ში არსებულ კანონებს შეისწავლის. ე. ი. გრამატიკის მიზანია, შეისწავ-  
ლოს რა არის ენაში და არა ის, რომ უკარნახოს, რა უნდა იყოს ენა-  
ში<sup>6</sup>. ესაა ძირითადი აზრი ილიას გამონათქვებისა — „ენას კანონს  
თეორევე ენა ძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“<sup>7</sup> და იგივეა საძირკველი  
ილიას მიერ გამოთქმული ბევრი მართებული აზრისა.

4 კრ. „ილიას სამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 132.

5 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, „ცისქარი“, 1861, № 6, ოქზ., ტ. III, გვ. 40.

6 არნ. ჩიქოზავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ტფ., 1938, გვ. 10—11.

7 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 40.

4. „ენა ერთი უნდა იყოს ლიტერატურაში და არა სამგვარი, ხალიტერატურო ენა ბუნებით განუყოფელია... ლიტერატურის განზრაბეჭდი ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოანი“<sup>8</sup>.

ამიტომ მიუღებელია ხალიტერატურო ენაში ე.წ. „სამი შტილის“ არსებობა.

5. ხალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთიანი, მონოლითური, დახვეწილი, ზეღუდეტი პარალელიშმებისაგან თავისუფალი, საყოველთაონორმებს დაქვემდებარებული.

ენის ერთობა ხალხის ერთობის, მისი ერად ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა, ხალხის ერთობის ერთ-ერთი ნიშანია. ენა ერთიანი უნდა იყოს მოყვითალი ხალხისთვის. ხალიტერატურო ენის ერთიანობისთვის აუცილებელია ერთგვარობა ენისა. სიჭრელე, პარალელურ ფორმათა არსებობა მონოლითურობას არღვევს, აძმუნებს ენას. ამიტომაც იბრძვის ილია საყოველთაო წესების დასადგენად.

6. ხალიტერატურო ენის ხადავო საყითხთა გადაწვევება ერთპიროვნულად შეუძლებელია. სასურველია ქართული ენის მცოდნე პირთა შეკრება და ამ კრებაზე ყველასთვის სივალდებულო წესების დადგენა.

7. ხალიტი ქართული ხალიტერატურო ენა უნდა დაეყრდნოს ცოცხალ მეტყველებას; ენა ხალხში ბუნებრივი სახითა დაცული. ხალხი, ერთ არის ენის პატრონი. სწორედ ხალხის მეტყველებაში უნდა ვეძებოთ ენის კინონები, „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთოეორეტიკა“<sup>10</sup>.

8. ხალიტერატურო ენის დამკვიდრებაში, გამდიდრებასა და სიწმინდის დაცვაში დიდი როლი ენიჭება, მწერლობას. „ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა“<sup>11</sup>. „ნიჭიერი მწერალიც ამისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებებში ენის სიმღიდრე გამოაჩინოს ხოლმე“<sup>12</sup>.

9. მხატვრული ლიტერატურა ხალხისთვის იქმნება და მისთვის გახაგები, ბუნებრივი ენით უნდა იწერებოდეს.

8 ი. ჭავჭავაძე, საჩილონ-შესხევების კრიტიკის გამო, თხზ., ტ. III, გვ. 446.

9 ილიას 1886 წ. 8 მარტს „ივერიის“ რედაქციაში მოუწვევის კიდევ სხდომა „განსახილებულად საგრამატიკო ხაგრძთა იმ ახრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი დაიღვინოს მწერლობაში სახმარის“. იხ. ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როვორც მეტრიტოლი ახალი ხალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, წიგნში: „ილიას სამჩრევლო“, თბ., 1987, გვ. 115—119.

10 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 212.

11 ი. ჭავჭავაძე, სარდილონ-შესხევების კრიტიკის გამო, გვ. 446.

12 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 49.

„ყოველთვის უფრო სისიამოვნოა წასაკითხებიდ თხზულება და-შერილი საყოველდღეო შინაურულს ენაზედ, იმ ენაზედ, ომლითაც ლაპარაკობს ქართველ კაცი თვის სახლში. თავის ცოლ-შვილში, ტოლთანა და ამხანაგთანა“<sup>13</sup>.

შეიძლება ლიტერატურა ყოველდღიურად მდიდრდებოდეს, იქსე-ბოდეს ხალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ად-ვილად არ გადადიოდეს ისინი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, „რომ ოცით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენას, ხალხს ისე ადვი-ლიდ არ შეეძლო გავეგძა მისი, რასაც კითხულობდა და... თუ ხალხი ვერ გაიგძნა, არც ცხოვრებაში შეიტანს“.

10. ამა თუ იმ ხიტყვის ხიაყურებე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოიყენება ეს სიტყვა ენაში. თუ ხალხი მიიღებს სიტყვას, ენაში სახმარს სიტყვად დამკიდებულია (ე. ი. თუ საზოგადოებრივ სან-ქონის მოიპოვებს), მაშინ ეს სიტყვა კანონიერი არსებობის უფლე-ბით აღიძურება — ასეთ აზრს უნდა შეიცავდეს იღიას შემდეგი გა-მონათქვამი: „უვარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ, თუ ხალხი ხმა-რობს, მაშიასდამე, ვარგისიანია“<sup>14</sup>. ე. ი. რასაც საზოგადოებრივი სან-ქონია აქვს, მას არსებობის უფლებაც აქვს.

11. ლიტერატურა, წიგნი ენას მტკიცებ უნარჩუნებს თავის სახეს. წიგნის ენა, სალიტერატურო ენა უფრო დაყული, ორგანიზებული ენაა, უფრო დახლვეულია ცელილებისაგან, შედარებით მყრი და კონ-სერვატიულია. ამიტომ „ენები, ომელთაც უპე მიუღწევიათ იქმდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეუჩირებოდნენ ცელილებს, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობ-რობა... ძლიერ ინახავენ სიტყვებს და ერთხელ დადგენილ ფორ-მებს“<sup>15</sup>.

12. ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დადა მნიშვნე-ლობა აქვს ძეველ ქართულ მწერლობას, ენას: „ძეველი თაობის მწერ-ლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალშე და ამ გავლენას ეკრასგზით ვერ მივიჩნევთ მინებელ გარე-მოებად... ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, რამდენიც დღესა ვვაქვს, უმთავრესად ისევ ძეველის მწერლობის საქმეა“<sup>16</sup>.

13 ი. ჭავჭავაძე, სფრიდონის და თადეოზის ბაასი, ქ. „საქართველოს მო-ამბე“, 1863, №№ 5, 6, 7; თხ., 1983, 111, 442.

14 ი. ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზედ“, ქ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 1: თხ., ტ. III, გვ. 64.

15 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 53.

16 ი. ჭავჭავაძე, ას სტრია, „იურია“, 1889, № 117; თხ., ტ. IV, გვ. 85.

17 ი. ჭავჭავაძე, თურგადალეული და ახალი თაობა, „იურია“, 1886, №№ 101, 102; თხ., ტ. III, გვ. 312—313.

13. ქართული ენის ხმარების შეზღუდვა უარყოფითად მოქმედებს ენაშე, აღარიბებს და ასუსტებს მას: „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარგიშოდ“<sup>18</sup>.

14. ქართული ენა მზად არ არის მეცნიერების ხამსახურისათვის. „ჩვენი ენა ჯერ მომზადებული არ არის დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურ ინტელიგენციისაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირვებლად“<sup>19</sup>.

15. ტერმინოლოგიის უქონლობა აურჩებს ჩვენს ენას /და მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

16. ხაერთაშორისო სიტუაცია უნდა მიიღოს ქართულმა ენამ (ისევე, როგორც ყველა სხვა ენამ). ეს სიტუაცია (მაგ.: ორიგინალი, სერტიფინტალური და სხვ.) ყველა ხალხს მიუღია, როგორც ღვიძლი სიტუაცია და იყენებს მათ. „არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ეიხმაროთ“. კიდეც რომ ავარიდოთ თვით მათ ხმარების. ისინი „უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარენი: პოემა, პატჩა, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოგიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის ცრუბს, რომელიცა ძრახვეს მაგვეარ სიტუაციას შემოტანას ენაში“<sup>20</sup>. „ენის გამდიდრება სხვისა სიტუაციითა ერს არ დაამდიდრებს, თუ არ ამილლებს“<sup>21</sup>.

17. ენის ლექსიკური ზარავის გამდიდრება წინ სწოდეს ერს გონიერივად. რაც უფრო ნიკლებ განათლებულიი ხალხი, მით უფრო ცოტა სიტუაცია აქვს თავისი ენაში. სიტუაცია აზრის გამოხატულებაა, ამიტომ ახალი სიტუაციის შემატება ენაში ნიშნავს ენის გამდიდრებას, აზრის შემატების, კონკრეტის გაფართოებას, ფეხის წინ წადგმას<sup>22</sup>.

18. ახალი სიტუაცია (იქნება ის უცრო ენიდან შემოსული თუ წმინდა ქართულ ნიადაგზე შექმნილი) დასამკეთრებლად და გახათავისებლად ენას დაიდა ზრო სკორდება. „რაც უნდა კარგიდ მოიგონო სიტუაცია, თუნდაც წმინდა ქართულიც იყოს, რაյი ამ სიტუაცის ახალს მნიშვნელობას იძიცებს, ისიც გაუგებარი იქნება ჯერსანდ, როგორც უცხო სიტუაცია... რასიცირველია, ამ სიტუაციის აზრს შევეჩვევით თავის დროზედ“<sup>23</sup>.

18 ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, „ივერია“, 1879, № 2; თხ. ტ. V, 83, 39.

19 ი. ჭავჭავაძე, ის სტორია, „ივერია“, 1889, № 118; თხ. ტ. IV, 83, 93.

20 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, ვე. 52—53.

21 ი. ჭავჭავაძე, სომხეთი შეცნიერნი და ქვათა ლალად, „ივერია“, 1899, № 64; თხ. 1987, ტ. V, 23, 45.

22 ი. ჭავჭავაძე, ხელოვნება და შეცნიერება (ხელნაწერი); თხ. ტ. III, 83, 471.

23 იქვე.

ბევრი ქართული სიტყვა შეცდებულიათ (მაგ.: მოთხოვნილება, გვლენა, მიმართულება, მეცნიერება...), ზოგი სიტყვისაუფის კი აზრი, შინაარსი უცვლიათ (მაგ.: მაშლი). ერთხანს ეს სიტყვები აღვილად გასიგები არ იყო, შემდეგ თანდათან გავრცელდა, დამკვიდრდა (ე. ი. მოპოვა საზოგადოებრივი საწერია)<sup>24</sup>.

19. მაგრამ უნდა ეგბრძოლოთ უცხო სიტყვების მოზღვავებას ენაში. უცხო სიტყვის შემოტანა არ უნდა დაეუშვათ იმ შემთხვევაში, როცა ქართულს მოეპოვება ზადალი სიტყვა ან გამოთქმა. ბარბარიშვილით არ უნდა დავანავებიანოთ ენა „მე „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარმანიული სიტყვები... ამისათვის დაგძრახე, რომ მაგის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში“<sup>25</sup>.

20. ჩადგამ ხალხისთვის ეწერთ, უპირელესი ამოცანა უნდა იყოს სიმარტივე ენისა. მართლწერის სიმარტივის პრინციპი გულისხმობდა ანბანიდან იმ ასოთა ამოღებასაც, რომელთაც ენა აღარ ხმარობდა (ა. კ, კ, ტ, მ), ეს გამარტივებდა ორთოგრაფიას<sup>26</sup>. „ეგ ასოები სულ ტყვილათ არიან ჩვენს ანბანში... ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, ამნელებენ მართლწერასა და სხვის არაფრის არ შევგძინებენ“<sup>27</sup>.

II. დავით ყიფიანი. ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში იღიას მხარში ედგა შესანიშნავი პუბლიცისტი და ქრისტიანი, „საქართველოს მომბისა“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დაცით ყიფიანი. იღიასა და მისი მეცნიერობა კიმნაზის წლებიდან იწყება და პეტრებულებში კიდევ უფრო ღრმავდება. ფიქრობენ, რომ დაც. ყიფიანმა გააცნო იღიასა და სხვა ქართველ სტუდენტებს ჩერნიშევსკი და ღობრილიუბოვი, რომლებმთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონია<sup>28</sup>.

ერთს ცხოვრებასთან დაკავშირებულ ბევრ საყიანოში იღია და დაც. ყიფიანი ერთ პოზიციის იდგნენ, ერთად იბრძონენ, ენის პრინციპებს საკითხებზედაც მათი შოაზრებები ძირითად ეთანხმება ერთმანეთს.

24 ა. ჭავჭავაძე, ხელოვნება და შეცნიერება, გვ. 471.

25 ა. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 53.

26 ამ ასოთა შეცმეტობას თანამდებოւე ენისათვის გრძ კიდევ ნეკა და დავით ჩუბინაშეცელები აღნიშვნელენ, მაგრამ მართლწერის გამარტივების პრინციპის ასე არცორჩეულად დაყენება და პრინტიცულად ვალგარი იღია ღიღი დამსახურებაა.

ა. შაიმიძე იღიას აზრი „ცეკვა“ სარგების შესახებ 8 დებულებაზ ჩამოყალიბა და დასკვნა: „ავ წარმოდგენილა გარევიშელი პრინციპები შეისწეროთ რეცენტის გასატარებლად ქართული ორთოგრაფის დარგში. ეს პრინციპები დაცვის მქონება და შაშინც მისაღები უნდა ყოფილიყო“ (ის. მის. ი. ჭავჭავაძე როგორც მეტარმალი ახალ სალიტერატურო ქიროლის დამკვიდრებისათვის, მოსსინება ენკიდეს საბჭოს სსტრომშე, 1937, წერმი: „იღიას სამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 99—100).

27 ა. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 41.

28 ა. ჭავჭავაძე, ქართული ერანიალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 89—91.

დავ. ყიფიანის შესანიშნავი გამოკვლევა „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“, რომელიც „საქართველოს მოაბეჭი“ (№ 3) გამოქვეყნდა, ზევრ საყურადღებო და მართებულ დებულებას შეიცვას როგორც ზოგადმეცნიერულ, ისე ქართული გრამატიკის სფეროთა შესახებ.

ჩამოაყალიბა რა მეცნიერულად მართებული აზრი გრამატიკის რობის შესახებ („გრამატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებააო“), დ. ყიფიანმა მიუთითა ავტოთვე გრამატიკის როლშე სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმეში<sup>29</sup>. მისი დებულებები ასეთია:

1. გრამატიკის ერთ-ერთი ნაწილი, მოტიფოლოგიისა და სინტაქსის გვერდით, არის მართლწერა (აქ ის ტრადიციას მისდევს და იღიას შორიდები). კანონიერ ფორმათი შესარჩევად გრამატიკამ უნდა მოვცეს გასაღები, გრამატიკა არის საყრდენი მართლწერის დასაღენად. გრამატიკა კანონმდებელია, ის აწესრიგებს ფორმათა მრავალფეროვნებას, აწესებს, რომელია კანონიერი ენაში არსებულ სადაც ფორმათაგან, მათგან უმართებულოს უარყოფს, მართებულ ფორმას კი აკანონებს, მოქალაქეობრივ უფლებებს ანიჭებს. .... სწორედ გრამატიკას ეკუთვნის გადამწყვერი სიტუაცია ენის ფორმათა მოწესრიგებაში“.

2. ენა იცვლება, იცვლება მისი ფორმები. ენის ცვლილება ენისავე შინაგან კანონებს ექვემდებარება, რომელთაც წინ ეკრ აღვუდგებით. „ენა იცვლება, წარმატებაში შედის და იმ წარმატებასა და ცვლილებასაც თავისი ბუნებითი კანონი აქვს, რომლის წინააღმდეგმა ყოველთვის ფუჭია“<sup>30</sup>.

3. ენის სრულყოფილად შესწავლისათვის, „ჰეშმარიტი ცნობისათვის“ საკიროა ისტორიული გრამატიკა, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტით პასუხი გადაცეს სალიტერატურო ენის ნორმათა საკონსებრეც. მხოლოდ ამგვარი გრამატიკა „არის ჩვენი ახალი დროების მოთხოვნილება“<sup>31</sup>.

29 როგორც ნ. აბე საკე შენიშნავს, დავ. ყიფიანის მიერ „ყურადღების გამახვილება გრამატიკის ნორმატულობაში ახალი სალიტერატურო ენის იმდრონდება მდგრადირობით იყო გამოწვეული“ (იბ. მისი გრამატიკის საკითხები XIX ს-ის ქართულ პერიოდულ გამოცემში, თბ., 1960, გვ. 17).

დავ. ყიფიანს შეიდარձის უმოშავა აღნიშნულ გამოკვლევაზე; 1857—1860 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში საჭარო ლეგიტიმი წაკითხების სალიტერატურო ენის განახლებრებისა და უცნებიდაბარგული სოების მიღლების შესახებ (იბ. აღ. კი ლან და ძე, ქართული უცნებილისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, 88, 35).

29 „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, გვ. 84.

31 იმვ., გვ. 84.

4. მრუდეა და ასახულებლად შეუძლებელი აპრი იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ენად ავითრითო ძველი სალიტერატურო ენის ფორმებთან შეხვეული, „დარბასლური“ კილო.

5. ასევე შეუძლებელია ძველი ენის გამოყენებაც, რადგან „ქველებური ენა ის ენა არ არის, რომელზედაც ეხლა ხალხი ლაპარაკობს, სულ სხვა ენა არის. თუ სხვა ენაა, სწავლა უნდა ჰქონა ხალხისთვის იმის საკუთარს ენაზე მარტო წერისა და კითხვის სწავლას ვერ ვახერხებო, სხვა ენა როგორდა ვასტავლოთ! შესაძლებელიც რომ იყოს, რათ გავიჭიროთ საქმე?“<sup>32</sup>.

ამიტომ ჩენენთვის ხაჭირო კანონები ახალ ენაში უნდა ვეძებოთ, ძველ ენას კი მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა თუ აქვს<sup>33</sup>.

6. სალიტერატურო ენა ხალხის ცოცხალ შეტყველებას უნდა ემყარებოდეს. „გრამატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და სიბუთიანობა უნდა იყოს ცოცხალი ხალხის ენა... ლიტერატურის ენაც ისეთი უნდა იყოს, რომელსაც უწოდებენ მდაბიურსა. ჩენენა სწორედ ამ ენაზე გვსურს მარტო ლაპარაკი კი არი, წერაცა“<sup>34</sup>.

„ცოცხალი ხალხის ენაში“ იგულისხმება „არა ენა იმა თუ იმ კუთხისა: ქართლისა, კახეთისა თუ იმერეთისა“, არამედ ის ენა, რომელზედაც „მოთლი ქართველი ხალხი ლაპარაკობს“<sup>35</sup>.

7. გრამატიკის (გრეთვე მართლწერის წესების) შედგენის დროს დაუშვებელია, რომ რომელიმე კუთხის შეტყველებას მიეცეს უპირატყველია: „სიერთო ეროვნული ენის განვითარებაში ყველა კუთხის მეტყველების უფლებები თანაბარია... ქართულ გრამმატიკიში საქართველოს არც ერთი მხარის გაცალევება არ უნდა ჩავიდეს ქართული ენის საზოგადო კანონად“<sup>36</sup>.

8. ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენის მეტყველება არ-სებითად ერთგვარია. სოციალური სხვაობა არ ნიშნავს ენის სხვაობას — ქართველი გლეხიცა და ფეოდალიც ერთი ენით — ქართული ენით — ლაპარაკობს. „უფრი მიუგდეთ, სწორედ ერთნაირათ ლაბარაკობენ, ლაპარაკები ერთსა და იმავე გრამმატიკულ ფორმებს ახმარებენ, როგორც გლეხები, ისე თავად-აზნაურნი... ენის ერთობისთვის ჩენენ ხალხის ბედნიერება სწორედ ეს არის“<sup>37</sup>.

9. ენის ერთობა ხალხის ერთობაა, ხალხის ერად შეკვრის, ერად ჩამოყალიბების ნიშანია. ისეთ „საზოგადოების, რომელიც არის შეკვეშირებული ერთისა და საზოგადოს ენითა... ქვიან ხალხი“. „ენა მოე-

32 „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, ვგ. 87.

33 იქვე, ვგ. 79.

34 იქვე.

35 იქვე, ვგ. 87—88.

36 იქვე, ვგ. 91.

37 იქვე, ვგ. 79.

ლი ხალხის კუთხენილებაა, ხაზოგადო საკუთრებაა". მოელი ხალხის ენა (ე. ი. ეროვნული ენა — ლ. ლ.) და სალიტერატურო ენა ერთი ენა უნდა იყოს.

სალიტერატურო ენა ხალხის მეობის ნიშანია: „ლიტერატური არის ხალხის სიცოცხლე და იმ ხალხს, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი..., რალხობა არ ეთქმის“<sup>38</sup>.

10. ძველი ასოები (ჰ, ჸ, ტ, ც, ქ) ზედმეტით, რადგან „ეხლა მნიშვნელობა აღარა აქვთ რა ენაში“. ამიტომაც დღევანდველ ენაში მათ ხმარებენ ყოველგვარი წესის გარეშე. ყოველი ზედმეტი ასოს ან მათი ნებისმიერი კომბინაციების შესაბამისი ბერის გამოხატვა თავისუფლად შეუძლია სხვა ასოებს (ც—ე, ჸ—ჰო, ჹ—ხ, ტ—ვ, ტც—ვე...). ე. ი. იმ ასოებს დღევანდველ ქართულში არივითარი საფუძველი არა აქვს და მათი ხმარება უარყოფილ უნდა იქნეს.

III. გრიგოლ ორბელიანი. აქვე ვვინდა წარმოვადგინოთ უეხედულებები გრიგოლ ორბელიანისა, რომელიც, მართლია, ილიას მოწინააღმდეგეთა ბანაქში ითვლებოდა, მაგრამ, ვოიქრობთ, მისი პრინციპების გაცნობა, ერთი მხრივ, ილიას ოპოზიციონერთა შეხედულებებს შევვასხენებს და, მეორე მხრივ კი, იმასაც დავვანახვებს, რომ გრ. ორბელიანი მხოლოდ წმინდა ორქისტი და კონცერტატორი არ ყოფილა. მას, როგორც საღად მოაზროვნე პიროვნებას, არ შეუძლო არ ეგრძნო განახლების ძალა და თანდათან არ გადახრილიყო ახალი თაობის პოზიციებისაკენ. თვით ილია ბრძანებდა: „გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცათ“<sup>39</sup>.

გრ. ორბელიანი განიხილავს გიორგი წერეთლის თხზულების („კიოლიე, ჩიკოლიე და კუდაბზიეა“) ენას და გზიდაგზა გამოთქვას შევრ საყურადღებო აზრს როგორც სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის კერძო სიკითხთა შესახებ, ასევე იმ პრინციპთა შესახებაც, რომლებიც საფუძვლად უნდა დაეფოს ენის ნორმალიზაციას<sup>40</sup>. წოლო ენის სიწმინდის დაცვას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი, კარგად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „მსგავსიდ სხუათა უნათა ქართულსაცა აქუს თავისი თვესება, თავისი კანონები მართლწერისა და უბნობისა, ეს ივი, თვისი ღრმმატიკა, რომელიცა ასწევლის ყოველსა იმას თეორეტიკულად და რომლის ზედ-მიწევნით ცოდნა საჭირო არის მწერალთა-თვეს“<sup>41</sup>. ცოტა ქვემოთ, სადაც საკითხების-

38 „საქართველოს მობბე“, 1863, № 3, გვ. 76.

39 ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრ., ტ. 111, გვ. 231.

40 ძველი სემინარის ტი (=გრ. ორბელიანი), შგზავრობა სეანელისაცენ 8. წ., განხილვა, „ცისქარი“, 1874, № 20. იგრეთვე წიგნი: გრიგოლ ორბელიანი, თხ. სრ. კრ., თბ., 1959, გვ. 312—330.

41 იქვ. გვ. 314.

განხილვისას გრ. ორბელიანი შენიშვნას: ეს კანონები მცხოვთ კლასის გიმნაზისტმაც კი იცის და თუ მანეც მათ შესახებ საუბარი „გაეცედა, ეს მხოლოდ სიყუარულისა-გამო ჩრდინისა ენისა, რომლისა სიწმიდით შენახვა მსურს მე გულითა“<sup>42</sup>.

რა თქმა უნდა, რეალური საფუძველი აქვს გრ. ორბელიანის არქაისტად მიჩნევის: იგი იზიარებს დეპულებას, რომ ენა უცვლელია, ამიტომ გრამატიკაც უცვლელია; უცილებელია ურუევიდ დაცილეათ ანტონის გრამატიკაში შემუშავებული წესები, ის კანონები, რაც საღმრთო წერილში არის გატარებული; ასევე საჭიროა დაცილეათ მცელი ორთოგრაფია; ქართული ანუანი სრულყოფილია და მასში რაიმე ცვლილების შეტანა დაუშევებულია და სხვ. პრატიყულადაც იგი არქაული ენით წერს.

იმავე ნაშრომში გრ. ორბელიანი თავგამოდებით იბრძების სალიტერატურო ენის უცოდინარობისა და დამახინების წინააღმდეგ. მა პიხილიდან იგი ენას უწევს ახალი თაობის მწერლებს, რომლებიც, მისი აზრით, ბევრს სცოდავენ ენის წინაშე, რადგან არ იციან ენა. ასეთი ცოდნით კი არა აქვთ უფლება ძველ გრამატიკოსთა მიერ დადგენილი კანონების შეცვლისა.

გრ. ორბელიანი ცლილობს გამოაჩინოს ძველი ქართული ენის დახვეწილობა, სისაღავე და მისაბაბი მაგალითად დასახოს იგი.

მეორე მხრივ, იმავე ნაშრომში გრ. ორბელიანი რიგ პროგრესულ მოსაზრებასაც გამოფენაშე<sup>43</sup>.

აქ წარმოვადგენთ გრ. ორბელიანის იმ დებულებებს, რომლებიც ენის ნორმალიზაციის პრინციპებს ეცება:

1. ენის კანონები უცვლელია. ენის ბუნებრივი თვისებების შეცვლა ცალკეულ პიროვნებას არ შეუძლია. ენა „არ არის მოვონებული ერთისა ეისგამე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცტრა მისი“. და რადგან „ენის თვესა მყოფობს მარადის შეურცევლად“, „ახალი სტილი“ არსებოთს კერაფერს შეცელის ენაში“<sup>44</sup>.

2. ძველი ორთოგრაფია დაცული უნდა იქნეს, არ უნდა გვართულოთ მისი შესწავლა. „ჩრდენ გურართებს, რომ ჩრდინი მართლწერა

42 გრიგორ იორბელიანი... გვ. 320.

43 გრ. ორბელიანის შეხედულებები ენის საყითხებშე განხილულია ა. ვას არა ძალის წიგნში „გრადილ იორბელიანი“, თბ., 1944; ა. გაწერელიას გამოკლევაში: გრიგორ იორბელიანი, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევა (თბ., წიგნში: გრ. ორბელიანი, იზჩელებათა სრული კრებული, თბ., 1959); კ. ვადა ელიას წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“, თბ., 1967.

44 გრიგორ იორბელიანი... გვ. 323.

დავიცუათ მტკიცედ და შეურევნელად, უფრო იმ მიზეზითაც, რომ  
მისი შესწავება არის დიდად აღვილი!“<sup>45</sup>.

3. ქართული ანბანი სრულყოფილია — თითოეულ ბგერის თა-  
ვისი ნიშანი აქვს. დაუშეებელია მი ანბანიდან რაიმეს გამოკლება.  
„იშვიაუსა ენასა აქტეს ისეთი სრულია ანბანია, როგორცა ქართულსა.  
ჩეუნს ანბანაში თვთეულია ხშის ბგერისა აქუს საკუთრივ გამოხა-  
ტული თვისი ნიშანი, ასო... მე ასოების უარის-ყოფა, გადაგდება, უკ-  
ჭირდება საცნებელი არის ენისა-თვს“<sup>46</sup>. „ანტონ კათალიკოსმა, დი-  
დად მცოდნებ ქართულისა ენისა, არათუ დააკლო, არამედ მიუმატი-  
ას ო ფ“<sup>47</sup>.

4. ქართულში გამოთქმა და წერა თანხედება ერთმანეთს; „ჩეუნ  
ისე ეპიტერთ, როგორცა ვლაპარაკობთ, ასოების შეუცვლელად“<sup>48</sup>.

5. სხვა ენების მსგავსიდ, ქართულსაც აქვს მართლწერისა და  
სწორებითყველების კანონები, თავისი ბუნება, ე. ი. გრამატიკა, და  
უკეთა მწერალი ვალდებულია იცოდეს და დაიცვას იგინ“<sup>49</sup>.

6. გრამატიკული წესების შეცვლაზე ფიქრიც კი დაუშვებელია:  
„ჩეუნ, დიდად უცოდინართი ქართულისა ენისა, ეინ მოგზეცა უცლე-  
ბა, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით უარ-ვჰყოთ, გა-  
დაიგდოთ და შევპატიალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა და-  
მსდეტის ჩეუნის ენისათვს დიდად მეცნიერთა ღრამმატიკოსთა, თუ  
ენის თუსებისავე გამოკურლებითა“<sup>50</sup>. მათგან „დაწესებულნი კანონი  
ეერა შესცუალეს ვერცა შივთელმა, ვერცა ჩახრუხაძემ და ვერცა  
თუ რუსთაველმა“<sup>51</sup>.

7. ქართული ენის ეტალონს წარმოადგენს საღმრთო წერილი,  
„მართლად მოულევნელი საუნჯე ჩეუნის ენისა“<sup>52</sup>, რომელიც ჩეუნს  
წინაპრებს გაღმოულიათ ბერძნულიდან და სირიულიდან.

ჩეუნს ენის იცავდნენ და ინახავდნენ „ბერები მონასტრებსში,  
ეკკლესიებში მღუდლები და მეტადრე დარბაისლობასში ჩეუნი ქო-  
ლები“<sup>53</sup>.

8. ქართული ენა უკეთაზე წმიდად იმერეოშია დაცული: „იმე-  
რეთში გვეგულებოდა ქართული ენა სიწმიდით შეურევნელად შე-  
ნახული“<sup>54</sup>.

45 გრავოლ ორბელიანი... გვ. 316

46 იქვე.

47 იქვე, გვ. 317.

48 იქვე, გვ. 316.

49 იქვე, გვ. 314.

50 იქვე, გვ. 317.

51 იქვე.

52 იქვე, გვ. 330.

53 იქვე, გვ. 327.

9. ახალი თაობის მწერლები „უწყალოდ პრეზიდენტ ჩერცხვა მართლწერასა“<sup>54</sup>. მართლია ისინი გულმატურეალედ შეუდგნენ დაცემული ენის ოლდგენის, მაგრამ მათ არ იციან ენის ბუნება, მართლწერის წესები, რადგან ღრმიდ არ შეუსწავლიათ ქართული ენა, საღმრთო წერილი. ამიტომ „არა არაან ეგენი ბრალეულ, თუ ზოგიერთის წერასში მოჰსნანს მრავალი შეცოომილება, როგორც პირის-პირ ენისა თვესებისა, ეგრეცა მართლ-წერასა. მათ არ პქონიათ შემთხვევა ღრმად შესწავლისა-თვს ქართულისა ენისა და იმა მიზეზითავე არა არაან ჩერცელნიცა საღმრთოს წერილსა“<sup>55</sup>. ქართული ენა აღარ ისწავლები რიგიანიდ „არცა ღიმნაზიასში და არცა თვთ სემინარიისაში“<sup>56</sup>.

მაგრამ მიზეზის კოდნა გრ. ორბელიანისათვის მიტევების როდი ნიშნავს. პოეტი კატევორიულად მოითხოვს: „მწერალმან უნდა იცოდეს ენა, რომელს-ზედაცა ჰსწერს ან ტეორეტიკულად და ანუ პრაქტიკულად“<sup>57</sup>.

იმ დღებულებით გვერდით ყურადღებას იპყრობს გრ. ორბელიანის შემდეგი მოსახრებები:

1. ლიტერატურა იქმნებოდა და კვლავაც უნდა იქმნებოდეს ხალხისათვის გახაგები ენით, ხალხის ენით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლებოდეს ხალხური მეტყველების უცვლელად შემოტანა სალიტერატურო ენაში: „ხშირად ამბობენ აწინდელი მწერალი: ხალხის ენაზედ უნდა გამსწეროთ. მაშ რა ენაზედ უნდა დამსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეს, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი, ვიდრე დაყვალოვნებული მწერალი მასალა-სა მას არ გადაარჩევს, კარგა უვარგისისაგან არ გამსწმენდს, არ გაამშტრინებებს და დიდებულებითა არ იღიყუანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; მერე იმ გალამაზებულსა ენისა გამშტრინებულის ჭორმითა გაღმოშვერებულს მოსხმარებლად ისევე იმავე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა და რომელიცა შეითვებს იმას, კითარცა საკუთრებასა...“

ესრეთ, დაყელოვნებული, მაღალ-პაზროვანი არხიტეკტორი ითლებს კირსა, ქუთა, ტალახსა და აღმართავს“... დიდებულ შენობებს, მაგრამ „არხიტეკტორი თავის შელოვნებით თუ არ შეეწია შენობასა, ტალახი დამშთება ტალახიდი მწერლობასშიაც ჰსწორედ ასე არის“<sup>58</sup>.

54 გრიგოლ ორბელიანი... გვ. 317.

55 იქვე, გვ. 314.

56 იქვე, გვ. 326.

57 იქვე, გვ. 314.

58 იქვე, გვ. 323—324 (ხაზი ჩვენია. ლ. ლ.).

2. ხალხის ენაშე იქმნებოდა ჩვენი ლიტერატურის უძველესი ძეგლები და ქართველი გლეხის სიტყვა, დიდ შემოქმედთა ხელში გამოვლილი, გამშვენიერებული და ამაღლებული, ისევ გასაგები იყო ხალხისათვის.

„განპკლო ათასში წელში, რა პირუელიდ ითქვა ქართულიდ „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა ალპბოცე უსჯულოება ჩემი!“ და რომელსა გლებსა არ ესმის ეხლაცა მარტივიად და მშტანიერად გამოთქმული სიტყვა ესე, რომელიც ეკუთვნის იმავე გლეხის ენისა? თვი ვეფხისტყაოსანი რა არის, თუ არა იგივე სიტყუი ქართველის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად გამწყობილი და გამოთქმული? მაშასალამე, სიტყუასა უნდა გაწყობა, გაწყობასა ჰსწავლა, ჰსწავლისაცა უნდა შეეწეოდეს ნიჭი ბუნებითი!“<sup>59</sup>.

3. ხალხი ლაპარაკობს კარგი ენით, ხწორად. „ცოდინარი გლეხი, რომელიცა არის დიօს შორს გრამატიკისაგან, ლაპარაკობს კანონიერად, მაგრამ ესე ჰსწარმოებს იმისაგან, რომ სიყრმიდგანვე ზას ესმის კანონიერი ლაპარაკი და პრაქტიკულად ჰსწავლობს ენისა, ასე რომ არა ოდეს არ შეჰსცდება“<sup>60</sup>.

4. აზრის ნათლად გადმოსაცემად სიტყვები უნდა დალაგდეს კანონების მიხედვით: „პაზრი გამოითქმის ნათლად მხოლოდ სიტყუტბისა კანონიერად გაწყობითაც“<sup>61</sup>.

5. გამოჩენილი მწერლები კი აზრს გადმოსცემენ არა მხოლოდ ხწორად და ნათლად, არამედ ლამაზი ფორმითაც<sup>62</sup>.

6. წიგნის ენაში, მწერლობაში შეცდომები მიუტივებელია: „რაც უნდა ზეპირად ნათესუამისა მიეტევება შეცთომილება, იმას არ მოუთმენენ მწერლობასში“<sup>63</sup>.

7. ენის ხანმინდისათვის პასუხისმგებლობა აწევს კრიტიკასაც, რედაქციებსაც, კრიტიკის ევალება უურადლება გაამინდილოს „ჩრდინს მართლწერასხელაცა და თვე ენის თვალებასზედაცა, რათა მის ძალითა და შემწერობითა გაიწმინდოს ჩრდინი ენა ზოგიერთთა შეცთომილებათაგან, რომელიცა, ანუ დაუდევნელობითა, ანუ უცოდინარობითა, შემოეპარნენ ჩრდინსა მწერლობასა და ახდენენ ენისა მეტად უწყოლოდ“<sup>64</sup>... „დიდად საშიშია, რომ უკანონოება არ დაიღუს შემდევ-

59 გრიგოლ ორბელიანი... გვ. 324.

60 იქვე, გვ. 314.

61 იქვე, გვ. 319.

62 იქვე, გვ. 328.

63 იქვე, გვ. 329.

64 იქვე, გვ. 315.

თა-თვის კანონად ენისა, რადგანაც ბევრნი ჰსწერენ ესრეოტე დაუ-დეენელაბით“<sup>65</sup>.

„ამაღ ჩედაქეცის მეტი ეინდა დაგურჩა ენის მფარუტლად, რომ ესცა ასე დაუდევნელად, გულ-შეუტარერად პეპლავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის აზრით, ჩედაქეცას ამევს მოვალეობა, რომ სისტიკი ყურადღება მიაქციოს ჩრდილი მართლ-წერაზედაც და კანონიერად ენის ხმარებაზედაც, თარემ სრულებით უსაჩერებლოდ დაპირები ესოდენი მისი ღამიშლი, ესოდენი შრომა და მეცალინეობა დაცესა-თვის სიწმინდით ჩრდილის ენისა“<sup>66</sup>.

8. უცხო ენის ხიტუვის შემოტანა დასაშვებია მხოლოდ იმ შე-მოხვევაში, თუ ჩვენს ენას ბადალი ხიტუვა არ გააჩნია: „ამაღი უნდა შემოიტანონ ის სიტურა, რომლისა თანასწორი არ იმოებოდეს ჩრდილის შესახებ“<sup>67</sup>.

ლინიშნულ წერილში გრ. ორბელიანი ზოგი კერძო საეკისის შე-სხებაც გამოსტევს თვეს აზრს (უნდა ვწეროთთ: პაზრი, პაკრი და არა აზრი, აერი; თვე, თვეხება და არა თვით, თვისება; მსგავსად, კო-თოლად და არა მსგავსათ, კეთილათ და ა. შ.), მაგრამ მით შესახებ აქ სიტურას იმარ გავატრძელებთ.

გრ. ორბელიანის ზოგადთეორიული შეხედულებების გაცნობა გვარწვენებს, რომ იგი ბოლომდე მყარად ვერ დარჩა თვეს პოზიცია-ზე, გორծდა მისი შეხედულებები. თუმცა თავგამოდებით იცავდა და აღრდებდა ძველ ენას, ძველ ფორმებს, ანტინის გრამატიკას, ძველ ორთოგრაფიას..., მაგრამ მშობლიური ენის სიყვარული, მისი კე-თილდღეობა, მისი ინტერესები ყოველივე მისე ძლიერი აღმოჩნდა. პოტს სწორდა, რომ ენის დაცემა ერთი დაცემის ნიშნავდა, ამიტომ დასტრიქილებდა თვეს ქართულ ენას მისი ფიქრი, ამიტომვე იგრძნო მან, რომ ჩვენი ენის, ისევე როგორც მთელი ერთს, ხსნა განახლება-ზია და ხავსებით გულწრფელად განხეხადა: „იხმარეთ როგორცა გნე-ბათ, გინა ახალი სტილი, გინა ძული, ოღონდ კა დაუტევეთ თავის-მოყუაჩება თქმუნი და დაინახეთ შეკოორილება პირის-პირ ენისა, რათა გამოსტეულათ ნათლად პაზრი თქმუნი და მით მოსცეთ ქარ-თულად ენისა ნაკოფი კეთილი! ყოველის მხრით ღალადება ყველრები-სა ქოროფლის ენის წახლენისა-თვის უნდა გესმოდეთ“<sup>68</sup>.

ამით გრ. ორბელიანმა დათმო თვეისი პოზიცია. მეტიც, იმავე წერილში იგი არსებითად გადავიდა ახალი სალიტერატურო ენის შესვეურთა მხარეზე. მისი შეხედულება ხალხური ენის როლისა და აღგილის შესხებ სალიტერატურო ენაში, იმის შესახებ, რომ ხალ-

65 გრიგოლ ორბელიანი... გვ. 321.

66 იქვე, გვ. 330.

67 იქვე, გვ. 322.

68 იქვე, გვ. 327.

ხია ენის პატრონი — ეს ხომ იღის ძირითადი პრინციპების გაზიარებას ნიშნავდა (თუნდაც გარკვეული კორექტიყოთ). შეტიც „საქართველოს ისტორიის“<sup>69</sup> და „კაცია აღამინის“ შესახებ ნათელი სიტუაციის: „საქართველოს ისტორია“ და „კაცია აღამინი“ რამდენჯერმე წავითხე დიდის სიამოვნებით — ფაქტობრივ უკვე აღიარებაა იხალი ქართული სალიტერატურო ენის გამარჯვებისა. ან კიდევ მისი შინაწერები „დროების“ არშეიბზე, ხადაც ალ ჟაზბეგის „ელგუჯი“ იყო დაბეჭდილი: „ქარგია“, „ძალიან ქარგია“, „მშვენიერება არის“, „დიდად მიამა“, „უფალო მოჩხებარიძევ“, გიხეროდეს, შენ ხარ მირკველი დრამატიკი საქართველოში... გერ ქართულს ენაზე მზადის არა დაწერილა რა“ — ხომ იმის დასტურია, რომ ალ ჟაზბეგის იხალ სალიტერატურო ენას (თანაც, პერსონაჟთა დიალექტური მეტყველებით) არ შეუშლია ხელი გრ. ორბელიანის აღტაცებისათვის. ეს ფაქტი ბევრის მოქმედია<sup>70</sup>.

**IV. დიმითრი ყიფიანი.** არა მარტო გრ. ორბელიანის, არამედ ძველი თაობის ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწის სიმპათიები გადაიხარია იხალი სალიტერატურო ენისაკენ. მათ შორისაა დიდი ქართველი მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანიც. იგი მაღვე მიემსხო სალიტერატურო ენის გახალხურების აზრს და „საქართველოს მოამბეში“ (შემდეგ სხვაგანიც) ბეჭდავდა თარგმანებს, შესრულებულს აზალი სალიტერატურო ენით, აქვეყნებდა წერილებს; შეადგინა და გამოსცა „ახალი ქართული ვრამატიკა“ (რომელიც ქართულ ვრამატიკებს შორის პირველი იღებს ორიენტაციას აზალ ქართულზე). იგი „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს უზიარებდა თავის გულწრფელ აღტაცებას იმის გამო, რომ ეურნალი გამოდიოდა ხალხურ, მდაბიურ, ყველასათვის გასაგებ ენაზე: „როგორც შეიძლება, ისე გამარტივდეს თევენს ეურნალში კილო შესამეცნებელი... მა მმარტივდა სწორედ დავვიტებო გული“, — წერდა იგი<sup>71</sup>.

**დ. ყიფიანი** იზიარებდა თვალსაზრისს ენისა და მისი კანონების ცვლილების, ენისა და გრამატიკის ურთიერთმიმართების შესახებ:

**1. გრამატიკა ცოცხალ ენას უნდა შეისწავლიდეს,** მის კანონებს უნდა ასახავდეს. ენა იცვლება და გრამატიკაც არ უნდა ჩამორჩეს მას: „თუ რომ კაცი დროს არ მიჰყევა და თავისი ცოდნიც თან არ მიადევნა, იმისთვის საქმე დაემართება, რაც ამ ბერძნულ გრამატიკას დაე-

<sup>69</sup> თ. სულხან ბარათაშვილი, საქართველოს ისტორია (თარგმანი და შენიშვნები ილია ჭავჭავაძისის), „საქართველოს მოამბე“, 1863, № 1, გვ. 1—34.

<sup>70</sup> შედ. ა. ვაწევრელია, გრიგოლ ორბელიანი, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი. წიგნში: გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 090—093.

<sup>71</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863, № 2.

მართა: დრო დაუდგა ისეთი, რომ აღა რა ვინ სწერდა ისე, როგორც  
ლაპარაკობდნენ და აღა რა ვინ ლაპარაკობდა ისე, როგორცა სწერ-  
დნენ. სამწიგნობრო და სახაუბრო კილოები მეტად დასცილდნენ  
ერთმანეთსა”<sup>72</sup>.

2. გრამატიკა არის „სწავლა სახაუბრო თუ ხალითერა გაურ-  
ენის თვისებათ გაცნობისა“<sup>73</sup>. იგი ენის კანონებს შეისწავლის. ეს  
კანონები. ოომლებიც თვით ენიდან გამოიყვანება, ენის დახვეწის უწ-  
ყობენ ზეს: „გრამატიკის კანონებიც განსაკუთრებითდა იმისთვის  
იწერება, თვითონ ენის თვისებათაგან გამოკრებილი, რომ სიტყვი-  
ერებაში რიგი დაწესდეს უკმეხობის გამდევნელი, ყურადღენის და-  
მატებობელი და მართლუბნობით ენის განმაშვენებელი“<sup>74</sup>.

3. გრამატიკა უნდა ითვალისწინებდეს მართლწერის ხაյითხებ-  
საც: „ეს სწავლა (=გრამატიკა — ლ. ლ.) გაიყოფება სამიზ: პირვე-  
ლი არის — ეტიმოლოგია, ქართულად ლექსთაწარმოება: შეორუ —  
სინდაქსის, ლექსთა თხზულება და მესამე — ორთოგრაფია, ქარ-  
თულიდ — მართლწერია“<sup>75</sup>.

4. გრამატიკული წესების სწავლებისას უნდა ვიცევდეთ მარ-  
ტივიდან რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლის პრინციპს. ამი-  
ტომ ხაჭირთა ბევრი ხაეითხის გამარტივება: „რიგი და სამართა-  
ლი მოიხსედა, სწავლის ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილი-  
დამ ძნელამდინ და ძნელიდამ უმძრმესამდინ გაუჭირვებლილ ვიზ-  
ლიდეთ“<sup>76</sup>.

5. დ. ყიფიანი ემხრობა ანბანის გამარტივებასაც, ზედმეტი  
ახოგების (ა, ვ, გ, ტ, მ) ამოღებას: „თუ არ ანგარიშისათვის, არის  
შემთხვევაში არც ერთი ამ ასოთაგანი საჭირო არ არის და სულ რომ  
გამოირიცხებოუნენ, ჩევნი ანბანის დიდ ღირსების შემატებოდა  
ასით რიცხვის შემცირება და მართლწერის ძალიან გაადვილება“<sup>77</sup>.

6. ქართული ანბანი სრულყოფილია: „არა მგონია სხვა ხალხს  
ჰქონდეს ვისმე ისეთი ბუნებასთან დაახლოებული, გამარტივებული  
და ადვილიდ სასწავლი ანბანი, როგორიც ჩევნა გვაქვს“<sup>78</sup>.

7. ლოტერატურა, პუბლიცისტიკა უნდა იურნებდეს ფართო მე-  
თველისათვის გასაგებ ენას: „ისე იწერებოდეს, რაც კი სწავლაზე  
და ხელოვნებაზე იწერება, რომ ეისიც წავითხვა არ უჭირს, იმას  
აღარც ვაგება გაუჭირდეს“<sup>79</sup>. „სამწიგნობრო კილო (=სალიტერა-

72 დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანქტ-პეტერბურგი, 1882.

73 იქვე, გვ. 11.

74 იქვე, გვ. 61.

75 იქვე, გვ. 12.

76 იქვე, გვ. 130.

77 იქვე, გვ. 12.

78 იქვე.

79 იქვე.

ტურო ენა — ლ. ლ.) უნდა მისდევდეს, არ უნდა დაშორდეს „სასუბტო კილოს“<sup>80</sup>.

8. ენამ შეიძლება შეითვისოს, მიიღოს ახალი სიტყვა ან სიტყვათშეხამება, „რაც ახალი სწავლისა და ახალი აზრისათვის არის საჭირო“, მაგრამ „სიფრთხილით, წინმედველობით, გარჩევით, რომ საგანგებე და უმსგავსობება არა შემოგვეპაროს რა“<sup>81</sup>.

9. მაგრამ გაუმართლებელია გრამატიკული კატეგორიის შემოტანა: „ქართული გრამატიკისათვის სქესების გარჩევა არასროს არ არის საჭირო... მამრობითად და მდედრობითად სიტყვის დაყოფა ქართული ენისათვის არას დროს არც ყოფილი და არც არის საჭირო. ამ ჩემს საოვნაში შემოიღეს ეითომი იროვნული გარჩევა სქესისა, მაგალითად; ხელმწიფა, მეცა, მთავრინა, კნეინა; მაგრამ ქართული ენა ვერც ამას ითვისებს“<sup>82</sup>.

ასევე, დაუშვებელია უცხო ენათა გავლენით წინადადების აგებულების, ბუნებრივი ქართული ფრანგელოგიზმების შეცვლა არაქართულით, შეცვერცებელი კომსტრუქციის წინადადებების გამოყენება.

დ. ყიფიანი ოციოდე მაგალითს აანალიზებს, რათა დაისაბუთოს სინტაქსური დარღვევები (მაგ.: „სიკედილს მოჩანა“ (= გადარჩა), სპილო მდლავრი (= ძალოვანი) პირუტყვია, მუნდირში (= მუნდირით) მიერიდა...<sup>83</sup>).

10. რომელი, გრძელი წინადადებები („უშველებელი პერიოდები“) ამძიმებს ენას. მათი დანაწევრება, „ნაწილ-ნაწილად“ დაყოფა კი უფრო მოქნილს, ადვილად სახმარს გახდის გახდის გახდის.<sup>84</sup>

V. იაკობ გოგებაშვილი. XIX ს-ის უურნაღ-გაზეთებში ქართული ენის შესახებ ბევრ წერილს აქცევნებდა დიდი ქართველი პედაგოგი ა. გოგებაშვილი. ამ წერილების უმეტესი ნაწილი დედაენის სწავლებას ეხება, ბევრიც — სადაც კერძო საკითხებს (აღვიარებ/გაღიარებ, სწორი/სწორე, კარგათ/კარგად...), ამასთანავე, ზოგადთეორიული ხასიათის ბევრ სინტერესო მოსახრებასაც შეიცავს ეს მასალა:

1. ენის ერთობა ერთს ერთობის ნიშანია: „დღედა-ენა [არის] ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“<sup>85</sup>.

ქართველები ერთ ერს წარმოადგენენ, რაღაც „ერთის ტომისანი არიან, ერთს ენაზე უბნიანენ, ერთი ლიტერატური დაპბადეს... ერთის სარწმუნოების მიმდევარნი არიან... საჭართველო ხშირად ერთს შეერ-

80 „ახალი ქართული გრამატიკა“, 1882, გვ. 10.

81 იქვე, გვ. 63.

82 იქვე, გვ. 28.

83 დ. ყიფიანი, უცნაური ნაღირება: „იურია“, № 1, გვ. 100.

84 იქვე.

85 „იურია“, 1890, №№ 100, 101, 102, 104; ტ. II, გვ. 207.

თებულს სახელმწიფოს წარმოადგენდა ფარნაოზიდან დაწყებული მე-  
თექსესტეტე საუკუნემდე<sup>86</sup>.

ენის ერთობაც ძალა გახლის ერისათვის. მისი დაყოფა პრო-  
უნციალურ კილოებად აუძღვრებს მწიგნობრობას და დიდს დაბრეო-  
ლების შეადგენს ერის გონიერის და სულიერის წარმატებისათვის<sup>87</sup>.

2. ენის შესახულად ხაუკეთებო ხაშუალებაა ხალხური ჰეპირ-  
სიტუაციერება („ხალხის გონიერი ნაწარმოები“) და მხატვრული ლი-  
ტერატურა, რომელიც არის „ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სი-  
მუდრის შევთისებისათვის“<sup>88</sup>.

3. ჩაც შეეხება გრამატიკას, ენის პრიეტიკულად დაუფლების საქ-  
შეზი „გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარე ლონისძება“, ის „ფილო-  
სოფია ენისა“<sup>89</sup>, თეორიული დარგია.

გრამატიკის შესწავლის ობიექტი ცოცხალი ენა უნდა იყოს. იქ  
უნდა დაიძებნოს გრამატიკის კანონები. გრამატიკის შედევრისას  
ენის კანონები საკუთარი ენის თვისებებიდან უნდა იმოდიოდეს. დაუ-  
შევბულია სხვა ენის ყალიბების გადმოდება: „ქართული ენის შენობის  
შესწავლისათვის და გრამატიკის შედევრისათვის ქვა-კუთხედად [უნდა  
დაიდოს] მისი საგრამატიკო ანალიზი“<sup>90</sup>.

4. ქართული ენა მაღალი დონის, სრულყოფილი ენაა. ის „მრა-  
ვალრიცხოვან თაობათა შრომის... აუკანია კულტურული ენების დო-  
ნებდე და სრულყოფილობამდე“<sup>91</sup>. „ქართული ენა [არის] განვითა-  
რებული, გამლილი კულტურული, მდიდარი როგორც ლექსიკონით,  
ისე გრამატიკული ფორმებითა, ენა სრულის თრაგიზისციისა. უმიღლე-  
სის ხარისხისა“<sup>92</sup>. „ქართული ენა ეკუთვნის მაღალი იგებულების ენათა  
დახსა“ მის მოებოვება ის თვისებები, რაშიც მდგომარეობს „დირ-  
სება ენისა...: სიმარტივე ბრუნვებისა, გრამატიკული სქესების არ ქმნ-  
და, თანდებულთა სიტყვის ბოლოს მოქცევა, ხმოვანი დამოლოება ხი-  
ტყვებისა, ხმის ამაღლების დამორჩილება განსაზღვრულს კანონზედ,  
მრავალფეროვნება და მოქნილება ზმნის ფორმებისა, სიმდიდრე ხი-  
ნონიმებისა, ლექსიკონისა“<sup>93</sup>.

86 „ეკერა“, 1894, № 134, თხ. ტ. II, გვ. 321.

87 „საგრამატიკო შენიშვნა“, პირველი გამოქვეყნა 1953 წ., თხ. ტ. II,  
გვ. 416.

88 „ეკერა“, 1886, № 25, თხ. ტ. II, გვ. 90.

89 იქვე.

90 იქვე.

91 ი. გოგებაშვილი, თბილისის სისულეერო სემინარის მდგომარეობის  
საკითხებისათვის, პირველი დამგებელი თხ. ს. კრ., II ტ., 1954, გვ. 154.

92 ი. გოგებაშვილი, ბურჯივროვნებისა, თხ. ტ. II, გვ. 217.

93 იქვე, გვ. 205.

5. ენის ღირსების ერთ-ერთი ნიშანია ლექსიკური მარაგის ხის-დიღრები: „რამდენიც ხალხი დაბლა სდების აზრებით და განვითარებით, იმდენად უფრო ღატაკია სიტყვებით, ფორმებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს“<sup>94</sup>.

6. განვითარებულ ენაში ყოველ ცნების თავისი სიტყვა უნდა ჰქონდეს. ორ-და სამაზრონება (ომონიმია) ენის დაბალი ღირსების მაჩვენებელია: „რავდენიც უფრო ენა მდიდარია ომონიმებით, იმდენი უფრო ახლოს დგას იგი ეკლესის ხალხის ენებთანა“<sup>95</sup>, ხოლო იდე-ალურად ის ენა ითვლება, რომელსაც ყოველი შინაარსის გამოსახატა-ვად მისი შესატერისი, შინაარსზე მორგებული სიტყვა აქვს. ამიტომ „სიმდიღრე ლექსიკონისა ითვლებოდა და ითვლება დიდ ღირსებად ენისა“<sup>96</sup>.

7. მიუხედავად ამისა, ხევა ენებიდან „წამ-და-უშუმ“ ხესხება... სიტყვისა, ენის სილარიძედ ჩაითვლება და არ არის სახურჯელით.

8. მარჯვე დიალექტური სიტყვები და გამოთქმები უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს ხალიტერატურო ენაში. „საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან იმისთვის გამოთქმანი, რომელიც ზედ გამოთქმილი არიან საგანხედ, აზრზედ და რომელიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენს კუთხეში. პირველსაკითხებამა წიგნში უნდა გაავრცელოს ეს მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუმჯეოდოს მათ არსებოთ ბრძოლაში“<sup>97</sup>.

9. დასავლურ კილოებს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ხერთო ეროვნული ენის ფორმირებაში.

10. ხადავო ფორმათა შორის უკეთების დასადგენად ხეკლდენია სოციალური სანქცია და გრამატიკული სისწორე. „ამითუმ გრამატიკული ფორმის გასამართლებლად ჩევნ სრულიად საქართვისად მიგევაჩინია ხალხის მიერ მისი ხმირება და სიგრძიმიტიკო საბუთები. ამ თრ ბურჯ-ზედ არის იგი შეურყევლად დამყარებული“<sup>98</sup>.

11. ქართული ენის განვითარება შეზღუდულია, შეფერხებულია. „ჩევნს ენას ყოველი გარემოება ხელს უშლის, ივიწროებს, ზრდას უბრკოლებს, მის განვითარებას წინ ელობება. ამის გამო ჩევნში თავისი დედა-ენა ჩინებულად არავინ იცის“<sup>100</sup>.

94. „ივერია“, 1894, № 212. თხ. ტ. II, გვ. 392.

95 იქვ.

96 იქვ. გვ. 391.

97 იქვ.

98. „ივერია“, 1881, № 6.

99. „ივერია“, 1894, № 226. თხ. ტ. II, გვ. 408.

100 ი. სიმონიძე (-ი. გოგებაშვილი); შეცის სამაგიუროს „იურია“, 1894, № 144. თხ. ტ. II, გვ. 342.

12. კონკრეტული, კერძო ღონისძებები „ჩვენის დედა-ენის და-საციაფად და გისაძლიერებლად“ სათია:

„დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და სახებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ჟეშ უნდა ინტენსიუროდეს.

სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძება, უნდა ეპურო-ბოდეს ქართულს ენას სრული პატივით, როგორც უსაჭიროეს საგანს... სახალხო ერთ-კლისიის სკოლაში იგი უნდა მეფობდეს... მასშე უნდა იყოს მოწყობილი მთელი სწავლა, ყველა საგნის გადაცემა... საშეალო სასწავლებლებში ჩვენი დედა-ენა უწინდებურად უნდა გადაიქცეს სა-ვალდებულო საგნად ყველა ქართული მოწაფეოთვის“.

„ყოველი ქართველი თავის წმინდა მოვალეობად უნდა სთვლო-დეს იქონოს საშინაო ქართული ბიბლიოთეკა“, იმავე ღროს გამო-იწყეროს და თვალი ადევნოს რომელიმე ქართულ პერიოდულ გამოცე-მას. .

ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ მცირერიცხოვან ერთიგინ შეი-ძლება გადმოვილოთ ოჯახებში თავშეერის წესი, საშინაო ბიბლიოთე-კიდან რომელიმე წიგნის შერჩევა და კითხვა, მსჯელობა, აზრის გა-იცლა-გამოცვლა<sup>101</sup>.

VI. პეტრე მირიანაშვილი. ქართულ უურნალებსა და გაზეობში („ივერია“, „მწყემსი“, „თეატრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალ-ხო გაზეთი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ტრიბუნა“ და სხვ.) ცნობილი პუბლიცისტის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის პ. მირიანა-შვილის მრავალი წერილი გამოქვეყნდა ქართული სალიტერატურო ენის საჭირობორიო საკითხებზე. მი წერილებში არაერთი კონკრეტუ-ლი და ოთრიული საკითხია განხილული.

„ივერიაში“ მოთავსებულ სტატიებში პ. მირიანაშვილი შემდეგ პრინციპებს აყალიბებს:

1. სალიტერატურო ენის დამახინჯება დანაშულია. „განათლებულ ეპროპაში კრიტიკა არავის პატივებს სიტყვისა და ენის დამახინჯე-ბას“<sup>102</sup>.

2. გრამატიკული წესების დაცვა პირველ რიგში მწერლობას უნდა მოქმედოს: „მწერლობის... გრამატიკებრი კანონმდებლობა... ყოველი მწერლისთვის სავალდებულო უნდა იყოს... ყოველი მწერლის კალამი ერთნაირად უნდა აკანკლებდეს ან აუღვილოლებდეს სიტყვის“<sup>103</sup>.

101 „ივერია“, 1890, № 104, ოქმ., ტ. II, გვ. 239—242.

102 „ივერია“, 1899, № 224.

103 „ივერია“, 1888, № 166.

3. ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი იმთავითვე ქართული კილია. ქართლი შესხეთსაც მოიცავდა<sup>104</sup>. ეს შემთხვევითი როდია. სალიტერატურო ენის ბეჭი თემის გედთან არის დაკავშირებული: რა თემშიც პირველად დაიწყება მოქალაქეობრივი ცხოვრება, იმ თემის კილიც ხდება სამწერლო ენად. ჩვენშიც პოლიტიკურად დაწინაურებული თემის — ქართლის ენა იქცა სამწერლო ენად. „ზემო ქართლიდან გამოვიდა პოლიტიკა და იმის ენაც გამთავრდა საქართველოს დანარჩენ თემთავის. ზემო ქართლი არ გულისხმობდა მხოლოდ მცხეთისას საუფლოს, იგი იყერობდა აგრეთვე ტესხეთს“<sup>105</sup>. „მესხეთში... ბაგრატოვანთა გვარეულობის გაძლიერების შემდეგ მესხები გამოღან სალიტერატურო ასპარეზშე... აქ მწერლობის განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია... საქართველოს წყრილ ხაშულობად დაუფლებდე მესხები იყვნენ მწერლება და იმათი კილო ჰსუფლება მწერლობაში... მესხეთის ძლიერებაზე მოწმობს ისკი, რომ მეცხრე საუკუნეში მხოლოდ სამცხე იყო სკოლებით მოფენილი“<sup>106</sup>.

4. ენის ერთობა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის შედეგია. ჩვენი სალპარაგო ენის სხვადასხვაობა იმის ბრალია, რომ ხშირად პოლიტიკური ერთობა არ გვქონდა<sup>107</sup>.

5. ახალი სალიტერატურო ენის განსავითარებლად და დასახვეწად ფრიად მნიშვნელოვანია ძველი მემკვიდრეობის ცოდნაც. ახალგაზრდობის ცოდნის წყურვილი მიაღწევს ძველი მემკვიდრეობის დაუფლებას, ეს კი წაადგება ენას. აქ არ იგულისხმება საეკლესიო მწერლობის ენაც.

6. სასულიერო ლიტერატურის ენა უკეთოვის განსხვავებული იყო საერთო-ხახალხო („ხახრო“) ენისაგან, რაც განსახლება მეტის-მეტამ ლვითამოსაბამ, ორიგინალის მორჩილებას. ისე რომ. სეკლესიონი ენის ფორმები ორიგინალთა ძლიერი გავლენის გამო ქართული ენის წინააღმდეგი კანონებით არის შემუშავებული. დღეს რომ ხელახლა გვეთარგმნა საღვთო წერილი (ისე, რომ ჩვენი ენის ბუნება და თვისება არ დაცემავა), მისი ენა სულ სხვაგვარი იქნებოდა<sup>108</sup>.

7. სალიტერატურო ენა დაცული უნდა იყოს პროვინციალიზმები-საგან. ეს მწერლობის ვალია. დიალექტური პარალელიზმები უნდა აღიკვეთოს სალიტერატურო ენაში: „ჩვენი მწერლობა მოვალეა... მეტორცი პროვინციალიზმებით არ გაახორცლიახოს გასუფთავების მა-

104 „ივერია“, 1888, № 166.

105 იქვ30.

106 „ივერია“, 1888, № 182.

107 „ივერია“, 1899, № 166.

108 „ივერია“, 1899, № 224.

109 „მწყემსი“, 1886, № 19, 20.

გეორ ენა<sup>110</sup>. „დღეს ჩვენ მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა, ესე იგი რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავისის სოფლის ენასაც ხმარობს. ამგვარად ენი აჭრელდა... ბ-ნი მაჩხანელის ქიზიყურმა პროზამ და ბ-ნ ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ კი ბევრი მეტბარგად ჩასარიცხა სიტყვები და უკან ჩამორჩენილი გრამატიკებრი ფორმები შემოტანა მწერლობაში“<sup>111</sup>.

ენის გამდაბიურება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მდაბიოხავან“ შეცდომით ხმარებული რომელიმე ფორმა მწერლობაში შემოვიტანთ. მაგ: წვენ, იუვენ—ფორმების შემოტანა „მართლუბნობის და მართლწერის კანონის დარღვევად უნდა მიეცხინოთ“<sup>112</sup>.

8. დიალექტური ლექსიების შემოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საოთხერატურო ენაში ბადალი სიტყვა არა გვაქვს: თუ მწერალს „თემის სიტყვა შემოაქვს მწერლობაში, იმის მაგიერი იქ არ უნდა იყოს“<sup>113</sup>.

9. დიალექტური შეტყველების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟის შეტყველებაში: „თემის კილოს ადგალი აქვს მწერლობაში, როდესაც მწერალი ალაპარავებს თავის გმირს“<sup>114</sup>.

10. არქაზმები და უცხოენოვნი სიტყვები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ“<sup>115</sup>.

11. დაუშვებელია უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოღება სხვა ენათა გავლენით (მაგ, სექსების შემოღება ქართულში რუსულის გვლენით) — „ეს არის უკანსევლა ენის მეცნიერებაში“<sup>116</sup>.

პ. მირიანაშვილის კონცეფციის მთლიანობის დასაცავად გადმოვიდოთ შემდგომი ხანის (XX ს-ის 10—20-აანი წწ.) წერილებში ასახულ პრინციპებსაც. „იცერის“ შემდგომ პერიოდში პ. მირიანაშვილი იცავს ზემოაღნიშნულ დებულებებს, ზოგჯერ კიდევ უფრო იღრმავებს მათ, ზოგიერთში კორექტივი შეაქვს, აყალიბებს ზოგ თაღ თეზისაც. ძირითადად კი მცხი ამ ხანის წერილები მიმართულა ე. წ. „დასავლელი მწერლების“, „იმერელი ივტორების“ შეხედულებათა წინააღმდეგ (კუთილებმოვანება, დასავლური დიალექტების ადგილი სალიტერატურო ენის განვითარებაში და სხვ.).

ეს თეზისები ასეთია:

<sup>110</sup> „ივერია“, 1888, № 166.

<sup>111</sup> იქვე.

<sup>112</sup> „ივერია“, 1903, № 168.

<sup>113</sup> „ივერია“, 1888, № 166.

<sup>114</sup> იქვე.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> „მწყემსი“, 1886, № 19—20.

1. ენის კულტურის შესაქმნელად აუცილებელია ნორმები<sup>117</sup>.

2. ჩვენი ენა და კულტურა ქართლმა მოგვცა, IV ს-იდან მწერლობა ქართულად იყო, ხიც შემდგომ ნიჭიერ მწერლოთა მიერ იქნა შემშეცემულ-განვითარებული<sup>118</sup>. ქართლური ფორმები მტკიცება და უთანხმება ქართული კლასიკური მწერლობის ფორმებს, თუმცი ის მუდამ მდიდრდებოდა სხვა კილოთა სიტუცებითაც, თუ ასეთი კლასიკურ ენას არ გააჩნდა<sup>119</sup>.

3. ძველი ქართული მკაფრად ნორმირებული ენა იყო. ძველი ურთი სკოლა — ქართლის სკოლა ბატონობდა და ყველა თემის ქართველი ერთი ენით წერდა, მთო ვინაობის გამოცნობაც კი ძნელი იყო<sup>120</sup>.

4. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სიჭრელე შეიქმნა ქართული სკოლის აკრძალვის გამო. ქართული სკოლების უქონლობამ, ქართული კულტურის ბუნებრივი განვითარების შეწყვეტაზ დასცა ცოდნა მჟელ საქართველოში. ცხადია, იმოქმედი იმ თემებზედაც, საბაც ბატონობდა მხოლოდ ქართლის სკოლა, რომლის ნორმებიც სივალდებული იყო ყველა ქართველისათვეს<sup>121</sup>.

5. ამ სიჭრელის აღსაკვეთად და ერთიანობის დასამკეთრებლად კვლავ აღმოხაველეთ საქართველოს მეტაველებას უნდა დაცვურდოთ: „ენა მხოლოდ ქართლის ყოფილა, არის ახლაც უფროს ერთ შემთხვევაში და მომავალშიც უნდა იქვენეს, მაგრამ განწმენდილ-გასუფთავებული ყოველგვარი ხორცმეტისაგან“<sup>122</sup>.

6. სალიტერატურო ენაში პარალელური ფორმები დაუშვებელია. სალიტერატურო ნორმის დასაბუკნად ქართლის მეტყველებაზე უნდა აყილოთ ორიენტაცია, „ორი სიტყვა, ორნაირი სახე მისი ქცივის (მწერლობაში) მიუღებელია, უფრო მაშინ, როცა ერთი სიტყვის, ურთი ფორმის დასამყარებლად საჭიროა მივმართოთ აღმოხაველეთის საქართველოს, რომლისგნითაც შექმნილია ძველი მწერლობა, რომლის ენის ფორმებიც დღეს პლაზებს სიმართლეს იმიც ძველ მწერლობაში“<sup>123</sup>.

7. გაუმართლებელია ზოგი დახველელი მწერლის ცდა — ქართულ სალიტერატურო ენას თავს მოახვიოს პროვინციალიზმები. ეს იგივეა, რაც პარიზულ ან მოსკოვურ დიალექტს რომ პროვინციაში თავს

117 „სახალხო გაზეთი“, 1912, № 663.

118 იქვე.

119 „სახალხო საქან“, 1919, № 695.

120 იქვე.

121 „განათლება“, 1913, № 5.

122 „სახალხო საქან“, 1920, № 835.

123 იქვე.

მოახვიოს თავისი ენა. სამწერლო-სიმოქალაქო ენა მხოლოდ ქართლს ექუთვნის და ეს ენა უნდა გაიწმინდოს ხორცმეტებისაგან<sup>124</sup>.

8. სალიტერატურო ენის გამდიდრება შეიძლება სხვა დიალექტების შახალითაც: „უნდა ვწეროთ, როგორც ილაპარაკება ქართლში და გავამდიდროთ იმ გურულ-იმერული სიტყვებით, რომელიც დედა ქართლში აღარ დარჩენილა“<sup>125</sup>.

9. კარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთისა და ზემო იმერეთში<sup>126</sup>.

10. ის, რასაც იმერელი ავტორები კეთილშოთანებას უწოდებენ („ცია“, „თათფირი“...), „ამერულად ჩიუჩიფს უდრის“<sup>127</sup>.

11. იმერულ-გურული ხმების დარბილება შეგრულ-ჭანურის გავრცელას მიეწყორება<sup>128</sup>.

12. ჩხალი ქართული სალიტერატურო ენისა და ჭალის ნორმები უნდა დაუხალოვდეს მე-18 ს-ის დახასრულის („რუსობის წინა პერიოდის“) ქართულს<sup>129</sup>.

13. ძველ ქართულზე ორიენტაციის აღება (მიბაბვა) აღარ იძლევა შედეგს. მკვლევარ-ბელეტრისტთა უმრავლესობის ერუდიცია შეზღუდულია (პრესას ვერ გასცილებით), რუსობის წინა პერიოდის სიტყვაებაშიც ლიტერატურა მათვის უცნობია<sup>130</sup>.

14. ქართლურის ხმათა [ცვლა მყარია, იმერულისგან განსხვავებით, არც თანხმოვანთა დარჩილება ხდება]<sup>131</sup>.

15. შეცდომა და უარსაყოფია უცხოური სიტყვების გადმოტანა უარტიკლო და სქესიანი რუსული ენის მიხედვით. უნდა შემოვიტანოთ უცხოური ძირი და დავუმატოთ ჩეენი -ი დაბოლოება (მაგ.: ფილოსოფი-ი, ფიზიკ-ი, ინდივიდუალ-ი...)<sup>132</sup>.

16. უცხო ენის პრეფიქსების შემოტანა ენაში ამ ხალხის დამონებისა და ენის გადავარების ნიშანია.

„უცხო კულტურისა და ენის ნორმების ბატონობისას ადგილობრივი ენა გადავვარების გზაზე დგები და გამატონებული ენის ლონეს დაესკრება აზრის გამოთქმას. მაშინ გაბატონებული ენის პრეფიქსი გაღმოდის დამონებული ენის ფსიქიატრი და აზრს თავისებურად

124 „სახალხო საქმე“, 1920, № 835.

125 „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

126 იქვე.

127 იქვე.

128 „სახალხო განეთი“, 1912, № 663.

129 „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

130 იქვე.

131 იქვე.

132 „სახალხო უურული“, 1915, № 196.

გამოათქმევინეს (მაგ., допускать—დაშვება, მაშინ როცა დაშვება—რცხ. опускать.)<sup>133</sup>

17. გართულწერა, ჩოგორც გრამატიკის დარგი, ქართულში არ არსებობს. ყოველ გვერდს ცალკე ასო შეესაბამება. ვინც კარგად ლაპარაკობს, კარგადაც წერს. ამიტომ განსაკუთრებული ორთოგრაფია არა გვაძვს<sup>134</sup>.

VII. ალექსანდრე ნანეიშვილი. „ივერიის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ბუბლიცისტი და ეურნალისტი აღ. ნანეიშვილი მოლის, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თუმცირთული, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა არის ძველი ქართულის სიმდიდოდრისა და ცოცხალი ენის მონაცემთა გაერთიანება.

სალიტერატურო ენის მოწესრიგების, მისი ნორმალიზაციის პრინციპთა შესახებ აღ. ნანეიშვილს შემდეგი თეზისები აქვს ჩამოყალიბებული:

1. გრამატიკა ანუ ენის კანონთა კრებული ბუნებრივი კუთხილებაა ენისა, ენისთან ერთად დაბალებული და ირ შეიძლება მისი სხვა ენიდან შეოვისება. ქართული ენის სიმდიდრე არ შეიძლება სხვადასხვა ენის გავლენას მიეთერთ<sup>135</sup>. მცდარია მოსაზრება, თოთქოს ენის განვითარების ერთ-ერთი საშუალება სამომავლოდ უცხო ენებიდან საუკეთესო ფორმებისა და კანსტრუქციების შეოვისება ცის. ენობრივი „კანსტრუქცია ანუ აგებულება ენის არხია, მისი ძარითადი დამახასიათებელი და იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეიცვალოს უცხო ენათა აგებულებით: „გრამატიკული ფორმები ენისა და მისი კანსტრუქცია სხვა უცხო ენიდან არ გადმოიღება, ერთიცა და მეორეც ყოველს ენას თავისი აქვს.“<sup>136</sup>.

2. ქართულზე უცხო ენათა გავლენის უარყოფა შეუძლებელია: „ჩვენ რომ ამის გამბობათ, არივინ იფიქროს, ვითომ ჩვენ ურჩეულოფლეთ უცხო ენათა ზემოქმედების საჭიროებას ჩვენს ენაზე, როცა ამის მოითხოვს თვით ენისა და მწერლობის წარმატება“<sup>137</sup>. საყოველთაოდ სიტყვების მიუღებლობა შეუწყნარებელია... ქართულმა ენამაც უნდა შეითვალის ასეთი ლექსიკური მისალია<sup>138</sup>.

3. არ არის დედამიწის ჟურგზე არც ერთი ენა, რომელშიც უცხო ელემენტი არ მოიპოვებოდება: თუ... ისტორია ერთა შორის ხილს გა-

133 „სახალხო განცხადი“, 1912, № 691.

134 „სახალხო ჟურნალი“, 1915, № 196.

135 „ივერია“, 1883, № 9.

136 აქვთ.

137 „ივერია“, 1887, № 226.

138 იქვთ, № 123.

დებს სამეცნიერო თუ პოლიტიკურ სფეროში, არ შეიძლება ერთმა ერთმ მეორისა არა შეითვისოს-რა... ეს აღებ-შიცემობა, თუ კანონიერად და საჭიროების მიხედვით წარმოებს, სახსარია ენის გამდიღრებისა, გაძლიერებისა, გამშენებებისა. ისეა ჩეენი ენაც... „ამ შექსების გზით თვეს ირჩეს არმც თუ უკან ჩამორჩენილი ენა. არამედ ზოგჯერ თვით წარმატებული ენაც იღებს დალის ჩამორჩენილისაგან. თითოეული ენა ნაყოფია კაცობრიობის გენოსობისა და ამიტომ ყოველს ენაში, ცატად თუ ბერტალ, შოპოვება ზოგიერთი იმისამა ამ, რომელიც სარტრულია მეორისათვის“<sup>139</sup>.

4. „ჩაგრამ ის, რაც ჩეენს ენაშივეა, უნდა ვამჯობინოთ სხვისას და მიტომ სხვისი ენა უნდა მოვიშეველით დიდის სიფრთხილით და გამორჩევით“<sup>140</sup>.

5. ენაში არყვლილია ერის წარსული, „ენა მკეიდრი სიგელია თითოეული ერის თავგადასაელისა, იგი იმის ისტორია, რომელშიც შეგიძლიათ მოიკითხოთ რომელს ერს რომელ ერთან პქონდა სულიერი და ხორციელი აღებ-მიცემობა“<sup>141</sup>.

6. ქართული თავისებური ენაა. მას წარსულში ბევრი რამ გადახდენია თვეს, შეუთვისებია მრავალი ლექსიცური და იქნება გრამატიკული ელემენტიც სრულიად სხვადასხვა მოდგმის და ჯიშის ერთაგან. ამ მიზეზს უნდა მიეწეროს ალბათ ქართული ენის ლექსიცური და იქნება გრამატიკული სიმდიდრეც“<sup>142</sup>.

7. ჩეენს ქვეყანაზე გაუთავებელი შემოხვევების გაშო ქართული ენის წარმატებაცა და შესწავლაც დიდი ხნით შეჩერებული იყო<sup>143</sup>.

8. „ერთხა და ორ თაობას, თუნდაც ძალიან თავდადებული იყოს, არ შეუძლია ძირეულად შეისწავლოს ენა. ამიტომ ჩეენი სიტყვიერება წარმოადგენს მარტო მდიდარს მასალას ენისას და არა იმის ცოდნა-მეცნიერებას“<sup>144</sup>.

9. „ამ გზაზე უკელაზე ნიკლებ სცოდავენ ისინი, რომელიც ცდილობენ გაიერთიანონ ძეველი მწერლობის სიმდიდრე და ცოცხალი ენის მონაცემები... გზა დცელის-ძეველისა და ახლის ერთმანეთთან შეკავშირებისა ერთადერთი გზაა ჩეენი ენის წარმატებისათვის“<sup>145</sup>. თუ ჩეენ მწერლობას უნდა წარმატებას მიაღწიოს, უნდა იაროს ძეველისა და ახლის შეკავშირების გზით. მართალია ეს გზა ძნელი და რთულია,

<sup>139</sup> „ივერია“, 1887, № 223.

<sup>140</sup> იქვე, № 226.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> იქვე, № 121.

<sup>143</sup> იქვე, № 221.

<sup>144</sup> იქვე.

<sup>145</sup> იქვე, № 223.

იგი ბევრ შრომას მოითხოვს, მაგრამ ქართველობამ ეს უნდა გააკეთოს, თან ძალიან ჩატიქტებით და გამორჩევით<sup>147</sup>. ... ასეთი შეკვეშირებით ძველი და ახალი აცხადს ერთმანეთს, „რაც ერთს აქლია, იმის მეორეში ცოტად თუ ბევრიდ გმოულობთ“<sup>148</sup>.

10. „ძველ მწერლობაში შენახულია, დაცულია მრავალი ნამდვილად ქართული ცორმები, გრამატიკული კანონები და სიტყვები, რის გამოისობთაც ეს ენა დღეს გასაგებია ბალხისთვის, იმისთვის, რეელს მწერლობაში შევფინდლია აღმოვაჩინოთ ქართული ენას კანონები, საჭირო სიტყვები, რომლებიც ხალხს ან დაუვიწყებია, ანდა იმის გურამდე არც-კი მისულა“<sup>149</sup>.

ძველ ქართულ სიტყვებს და ფორმებს არ უნდა ვარჩიოთ უცხო გაუგებარი სიტყვები და ფორმები<sup>150</sup>.

11. ენის მწერლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: თუ ენა მძიმე და გაუგებარია, მაშინ თვით მწერლობაც უქმია. ამიტომ ყოველი მწერალი და მწერლობა დიდ ყურადღების აქცევს ენას. ცდილობს გაამშენიეროს, გაალამაზოს იგი<sup>151</sup>.

VIII. ნიკო ხიჭანიშვილი (ნ. ურბნელი). 1888 წ. „ივერიის“ რამდენსამე ნომერში ნიკო ხიჭანიშვილმა ნ. უ-ლის ფსევდონიმით გამოიქვენა მეთაური წერილები<sup>152</sup>, რომლებშიც იგი ძირითადად პ. მირიანშვილის შეხედულებებს იხილებს და ედავება, მაგრამ ის მსჯელობისას ბევრ საყურადღებო დებულებასაც აყენებს. მაგ:

1. ენის გაჩენა და განვითარება, ისტორია ენისა და თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება.

2. ენის ერთობა ან არის აუცილებელ კავშირში ერთობათან. ერის „ერთობას ზედ-მოქმედება აქვს ენის ერთობაზე, მაგრამ ერის ერთობა ამისი ლოგიკური და ისტორიული შედევრ როდია“<sup>153</sup>.

3. ქართველ ხალხს მუდამ ერთი ხალითერატურო ენა შეინდა, მიუხედავიად ქვეყნის პოლიტიკური მდგრამარეობისა: „ფაქტია, რომ ყოველთვის და ცველგან საქართველოს მთელი ისტორიის განმიყვანაში ერთი და იგივე სამწიგნობრო ლიტერატურული ენა შეინდა, იქც კა (მაგ., სამეგრელოში), სადაც სათემო ენა მეტად გამოირჩეოდა სამწიგნობრო ენისაგან... სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაშლისაც კი არ გამოუწევეთა „საზოგადო სასაუბრო ენის დავიწყება“. „ერთო-

147 „ივერია“, 1887, № 226.

148 იქვე, № 223.

149 იქვე, № 221.

150 იქვე, № 219.

151 იქვე, №№ 168, 170, 171, 177.

152 იქვე, № 168. იქ ურბნელი უპირისპირდება პ. უშიყაშვილს.

ბას შოსპონიამა და დამხობამ ის კი არ გმოიწევია, რომ ენაში სათემო კი დომ, ტროვინციალიზმია გაიდგა ფეხი, ორამედ ის, რომ ერთობას-თან ერთად ჩვენი ენისა და გონიერის ზრდა და განვითარება შეჩერდა, მწერლობამა და აზრმა წინ ვეღარ წინწია და მთელს მწერლობას ეკ-ლესიური ფერი დაყდო, ეკლესიური კილო გაბატონდა, რომელმაც მაღლ შექმნა ენისა და სიტუაციერების თავისიუფლება”<sup>153</sup>.

4. მცდარია აზრი, რომ მესხეთშა მისცა საქართველოს სალიტე-რატურო ენა. „გაცილებით აღრე, ეიდჩე მესხეთი განთლების მთ-კლასურ გამოიდოდა, ასებობდა სიერთო სალიტერატურო ენა, იმ-დენად განვითარებული და შემუშავებული, რომ ადვილად მოხერხდა სალეთო წერილისა და საეკლესიო წიგნების თარგმნა”<sup>154</sup>.

5. ახალი ქართულ სალიტერატურო ენას აკლა დახვეწილობა, ენაში სიჭრელეა: „აწინდელი ქართული ლიტერატურული ენა და კალო „აზალის ღრიოს“ ნაყოფია... იგი სრულს, შემუშავებულს არას წარმოადგენს... ამჟამად ენასა და კილოს თავისი ბუნება დაუტოვე-ბია, დაუვიწენია რაც საყუთარმა გრძამატიკაშ უანდერძა... ჩვენი დროის ენა-კილო ისეა დაქსაგული, რომ თავი ბოლოს ვერ ებშის და ბოლო თავსა. აზალის კილოს ღირსება მეტად მდარეო”<sup>155</sup>.

6. ქართულ სალიტერატურო ენაში „ძველისა“ და ახლის ბრძო-ლამ შექმნა სიერთულებით: „ძველისა“ და „ახლის“ ბრძოლაში უნდა მოიძებნოს მიხეზი იმისა, რომ აქამომდე ჩვენს მწერლობას სიერთო სალიტერატურო კილო არა აქვს. იგი გარევეული და განმარტებული არ არის. „ძველი“ და „ახალი“ ერთმანეთშია არყოლი, სიერთ და სა-თემო კილო უშნოდ ერთადაა პოთავსებული”<sup>156</sup>.

7. სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო დიალექტებია. ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი არა მარტო ასაზრდოებს, ირამედ სიცაცხლის ძალას ჰმატებს ენის. „სიერთო ენა, რაც კი რამე კარგია და მშენიერია სიერთო კილოში, ითვისებს, ისაკუთრებს და ამ შე-თვისებაზეა დამოკიდებული სიერთო ენის აღორძინებაცა, იგი მაშინ შედის წარმატებაში და ყოველფლოს განკირების გზას აღვია, როცა კავშირის არ წყვეტს ხალხის ცოცხალ ენისთან, სიერთო კილოს-თან”<sup>157</sup>.

8. „ახალი სალიტერატურო ენა ხალხის ცოცხალ მეტყველებას ემჟარება. „ახალმა ქართულმა მწერლობამ უარყო ძველი გარდამო-

153 „ივერია“, 1888, № 169.

154 იქვე.

155 „ივერია“, 1888, № 171.

156 იქვე, შლრ. ალ. ნანებიშვილის მოსაზრება ამავე საკითხზე.

157 „ივერია“, 1888, № 170.

ცემა — საეკლესიო კილო და მიმართა სახალხო, ცოცხალ ენას. ამ სწორებ მაშინ გამოჩნდათ... მწერლობაში სათემო კილოუ<sup>158</sup>.

მ. მაგრამ ცოცხალი სახალხო ენის შახალა მხოლოდ გადამუშავდული სახით შეიძლება შეფილდეს სალიტერატურო ენაში. ე. წ. ცოცხალი ენა. ის ენა, რომელზედაც ჩევნი განუვითარებელი ხალხი ლაპარაკობს, მასალად მწერლობისთვის და არა მზა იარაღი, იმას შემუშავება და განვითარება ეჭირება და უამისოდ მისი მწერლობაში ხმარება სრულიადაც არ მოასწავებს სამწერლო ენის გამდიდრებასა და წარმატებას<sup>159</sup>.

10. ქართული ენა მზად არ არის ევროპული მეცნიერების გახავრცელებლად. მას საამისოდ ბევრი რამ აკლია. ამ მხრივ რუსული ენა დაგვეხმარება, მაგრამ, ამასთანავე, რუსულ ენას კრიტიკულად უნდა მოვცეკიდოთ, არ უნდა დავუშვათ მისი გაელენა ქართულ ურამტკიანზე, რადგან თუმცა რუსული ენა ჩევნოვის ის ძლიერი იარაღია, ურომლისოდაც ევროპულის ენის მიღება არ შეგვიძლია, მაგრამ „რუსულმა ენამ კა მიინც გზა-კვალი შეუშალა ჩევნს გრამატიკას ჩევნი ენის ნორმალურ ზრდას“<sup>160</sup>.

IX. ვაჟა-ფშაველა. გენიალურ პოეტს ვაჟა-ფშაველის უსაყველურეს სალიტერატურო ენაში ფშაური კილოს ფაქტების ფართოდ შემოტანის გმირ. ვაჟამ დაიცა თავისი პოზიცია და პასუხი გასცა ამ ბრალდებას. წერილებში: „მცირე შენიშვნა“ („ივერია“, 1888, № 192) და „ენა (მცირე შენიშვნა)“ („ივერია“, 1901, № 46) გამოჩნდა ვაჟას შეხედულება ზოგი თეორიული საკითხის შესხებაც. მისი აზრით:

1. სალიტერატურო ენის ფუძე, საძირკველი ხალხის მეტყველებაა. „ხალხი, ერი დედა ენისა. იგი პბალებს და პზრდის ენას, როგორც დედა შვილს“<sup>161</sup>.

2. სალიტერატურო ენა თავისი ხიახლის გამო მოყლებულია ბევრ საჭირო ხიტვებს თუ ფორმას და „ეს ფორმები, და სიტყვები ხილნშია დამარტებული“. მაგ., იხმარეს რუსული სიტყვა „სმარტინა“, მაშინ როცა ქართულში, მთის კილოებში გვექვს „მოცხარი“, „უნწი“<sup>162</sup>.

3. მწერალს არ შეუძლია სავალდებულო გახადოს რომელიმე სიტყვა ან ფორმა, მაგრამ ის კი შეუძლია და მოვალეობა, რომ ყველა

158 „ივერია“, 1888, № 170.

159 ნ. ურბნელი აქ გრ. ორბელიანის მიერ გამოთქმულ აზრს ეხმიანება.

160 „ივერია“, 1888, № 177.

161 „ივერია“, 1888, № 192.

162 იქვე.

სიკურადლები სიტყვით ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას; თუ ის შეეცარება ენის ხასიათს, მის ბუნებას, ენა მიიღებს მას! <sup>163</sup>

4. დიალექტური თუ ძველი ფორმების შემოტანა სალიტერატურო ენაში დასიძრისის როდის. ისინი მდიდრებენ ენას, ხოლო მათი „გატანა და შემცირება — ერთს გაღიავნად, შეურაცხოფად, დამცირებად მიმაჩნია“ <sup>164</sup>.

მაგრამ კუთხეური ლექსივისა და ფორმების გამოყენება პერსონაჟის შეტყვალებაში ხასიათით დახაუცებია: „სიხილზო მწერალს, როცა ხალხს ალაპარაკებს, ეპატიება ამ ფორმების ხმარება“ <sup>165</sup>.

5. ხათავე ენისა არის დიდ მწერალთა ნაწარმოებებსა და იმ კალებში, რომელთაც სხვა ენის გავლენა არ შეხებიათ და უმწიველოდ, შეუბლალებად შეუნახავთ ენა. ეს სათავე წმინდაა და აუმღვრევალი. „სხვებს რომ თევი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა — შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყენელის ენის მოსაფრედ კიდევ მოიულნი“ <sup>166</sup>.

6. ძველი ფორმების შემონახვა მთის კილოებში „ჩამორჩენილობას“ არ უნდა მივაწეროთ. „ფშველებზე (ფხველებზე) ნაკლებად პქინდათ ზემოქმედება ოშაბალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. იმიტომ იმათი სათემო კალი (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათ სასაუბრო ენას) და გრიმატიკული ფორმები, როგორც ნამუელი ძველი ქართული, სრულიად პვევანან ძველის მწერლების ნაწერებისას, რის გამო იმათ „უკან ჩამორჩენა“ არ ეკუთვნით <sup>167</sup>.

7. ენა იცვლება, წინ მიდის. ეს ცვლილება ეხება ლექსივურ მხარეს. „ენის წინსვლა და წარმატება იმაში მდგრამარეობს, რომ „ენა მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომელიც სიჭირო ახალთა ცნებათა გამოსახულებად“ <sup>168</sup>. ხოლო ენის არსი, მისი ბუნება და ხასიათი ამ ცვლილებას არ ემორჩილება. „თუ ეს მოხდა (ე. ი. თუ იცვალა ბუნება და ხასიათი ენისა — ლ. ლ.), მაშინ ენაცა კვდება“ <sup>169</sup>.

8. რამდენადაც უფრო განვითარებულია, მაღალ დონეზეა ენა, იმდენად უფრო სრულყოფილია მისი ლექსივი. „რამდენიც უფრო წინ წასულია და წარმატებულია (ენა), იმდენად უფრო მომზადებულია ცველა ცნების გამოსახატავად. მაშინ ენას ცველა ცნების გამო-

163 „ივერია“, 1888, № 192.

164 „ივერია“, 1901, № 46.

165 „ივერია“, 1888, № 192.

166 „ივერია“, 1901, № 46.

167 „ივერია“, 1888, № 192.

168 იქვე.

სახატავად საკუთარი სიტყვა მოეპოვება, ყოველს აჩრს, რაც უნდა  
მძიმე და განკუნებული იყოს, ადვილად გამოსთვევამს“<sup>170</sup>.

9. ქართული ძველი ენაა. „ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ  
არ არის, იგი ძალიან დიდი წნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებუ-  
ლი ვაჟკაცია“<sup>171</sup>.

X. გრიგოლ ყიფშიძე. ილიას ერთ-ერთი უახლოესი თანამშრო-  
მელი გრ. ყიფშიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო: პუბლიცისტი, უურ-  
ნალისტის ისტორიკოსი, ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსი,  
ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი... იგი „ივერიას“ რედაქტორობდა 1903—  
1905 წწ. ენის სადაც საკითხები მისი ყურადღების ცენტრში იყო  
ყოველთვის და, როგორც მის წერილებში გამნებული დებულებები-  
დან ჩანს, მათ მოსაწესრიგებლად ასეთი წანამღვრების გათვალის-  
წინება მიაჩნდა საჭიროდ:

1. ენა ერის არსებითი ნიშანია: „ენის არა თუ ულიდესი და  
უპირველესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, არამედ ენა თი-  
თქმის უკელაფერია. ის ერი არ არის, რომელსაც თავისი საკუთარი  
ენა არა აქვს... ენა სინინიმია ერისა“<sup>172</sup>. როგორც ენა ფუჭდება, ხდე-  
ბა — ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ერიც ეცემა სულით, გადა-  
გვარების გზას აღგება“<sup>173</sup>.

2. გრამატიკა თავისითვის კი არ არსებობს, იგი ცოცხალ ენას  
მქვემდებარება და იმის ფუნქციებს აღნიშნავს მხოლოდ<sup>174</sup>.

3. ენის სიწმინდე უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს: „ენის  
სიწმინდეს ისეთივე ყურადღება უნდა მოექცეს, როგორც დიდია და  
ღრმად რამ საერთო რწმენას, როგორც თვით სულს... შებღალვა ენისა  
იგივე შებღალვაა, გარუცნაა, იგივე გათანასირებაა ერისა“<sup>175</sup>.

4. სალიტერატურო ენაზე ზრუნვა მწერლების უშუალო მოგა-  
ლეობაა. მან უნდა გააასკეცოს პრძოლა „დედანის სიწმინდისა და  
კანონიერებისათვის“, რისთვისაც ძირითად მიზნად უნდა ისახავდეს  
ქართული ენის ბუნების, მისი ბუნებრივი მიმოხრის დაცვას, შე-  
ნარჩუნებას“<sup>176</sup>.

5. ენას ამდიდრებს, აძლიერებს და აცხოველებს მისი ფართოდ  
გამოყენება ცხოვრების უკელა სფეროში: „საცა ენა ერისა ისმის

170 „ივერია“, 1888, № 192.

171 „ივერია“, 1901, № 46.

172 „ივერია“, 1903, № 4.

173 „მოამბე“, 1895, № 4.

174 იქვე.

175 „ივერია“, 1903, № 4.

176 „მოამბე“, 1895, № 4.

ყველგან — მართვა-გამგეობის საქმეშიც, მხედრობასა, სასამართლოსა, სკოლისა და უცელა სხვა საზოგადოებრივსა და კერძო დაწეს-სებულებებშიც, როგორც ცველად საქართველოში იყო, იქ ენამხრევდება, ცხოველდება, მღიდრდება, ძლიერდება და გულხალვათად შლის ფრთხებს”<sup>177</sup>.

6. ქართული ენის მოხმარების ასპარეზი შემოკლებულია. იგი შეფარებულია სოფელსა და ქართულ მწერლობაში. „დღეს ჩვენში ქართულს ძალიან პატირა წრე იქვს გარშემორტყმული... მცირე ას-პარეზი აქვს სავარჯიშოდ, ფრთის გასაშლელად. როგორც ვიცით, ჩვენი ენა თითქმის ორსაც არ ვარგიშობს... ისევ სოფელი და სოფლური ოჯიხია (მდაბიოსი) დღეს ერთად-ერთი ციხე-დარბაზი, საცა ჩვენი ენა თავს აფარებს, საცა თვისისუფალია ცოტად თუ ბევრად, თითქმის წყაროსაცით ანკარა და წმინდა, შეურევნელ-გაურკველი... მწერლობა მეორე ძიმა და ლალაა დედა-ენისა; ის დიალი კერაა, საცა ძნელია, თითქმის ყოვლად შეუძლებელია მისი გაქრობა ისე, როგორც შეუძლებელია მისი გაქრობა სოფლად... მწერლობის ღილა კერაში პლივის განუქრობელად ცეცხლი იმ ცით მონიშებული მაღლისა, რომელსაც დედა-ენა ეწოდება. მწერლობაა მისი მცელი, მისი ჩბალამოლებული დარაჯი”<sup>178</sup>.

7. ხალითერატურო ენა ახლოს დგას ხალხის შეტყველებასთან. ჩვენი მწერლობის ენა და მდაბიო ხალხის ენა დიდად არ არის ერთ-მანეთისაგან დაშორებული. ეს სიახლოე უნდა დავიცვათ შემდეგ-შიაც, ამიტომ უნდა გვთქრთხილდეთ, რომ მწერლის ენა ხალხისის არ დაშორდეს”<sup>179</sup>.

8. ენისათვის უფრო მტკიცნეულია სინთაქსური დარღვევები — კალვირება და უხეირო სიტყვათშეხამებები, ვიღრე თრთოვრაფიულ და მორფოლოგიურ ფორმათა სიჭრელე: „ჩვენის ფიქრით, ქართულის სისუფთავისა და კანონისერებისათვის საქმე ასოები. მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხვრა, მისი ზოგადი აგებულება... საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია, ლექსთ-თხშულება ანუ ის კანონები, რომელთაც ცმორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა”<sup>180</sup>.

9. არ უნდა აიკრძალოს უონეტიკური და მორფოლოგიური დიალექტური ვარალელიზმების ხმარება. თუ ფორმა უცხო ენიდნ არ არის შემოტანილი და საქართველოს მა თუ იმ კუთხეში იხმარება, „კანონიერია, სამართლიანი და მორფოლოგის მიერ შეწყნარებუ-

177 „მომზე“, 1895, № 4.

178 ივე.

179 „ივერია“, 1903, № 6.

180 „მომზე“, 1895, № 4.

ლი”<sup>181</sup>. თუ ერთი ფორმა ერთ კუთხეში იხმარება, მეორე კი — შეორები (მაგ.: მაიტა/მეიტა, იყვეს/იყოს, თვალი/თოლი, კადენ/კადენ, ძალიან/ძაან/ძალან...), ამას არ უნდა ვებრძოლოთ, რაღაც ყველა კანონიერია და „არაესი არავითარი არც ნება აქვს და არც შეუძლია მოითხოვოს: ასე იხმარეთ ეგ სიტყვა და არა ისეთ“<sup>182</sup>. ამიტომ არც დირს... დავა იმაზედ, „როგორ სკობიან ვწეროთ ისეთი სიტყვანი, რომელთაც ორნაირი და სამნაირი ფორმა აქვთ და რომელთაც ერთი მწერალი ასე სწერს, მეორე ისე“<sup>183</sup>.

10. დარღვეული სახელებით არსებობით ზიანი არ მიეცება ქართულ ენას, „პირიქით, უფრო გამდიდრდება ენა, გამღიღრდება ლექსიკონი, იმატებს მასილი ენისა. სიფრთხილით ხმარება პროვინციალურის არა თუ სიტყვებისა, ფორმა-მიმოხერისაც კი მეტადრე პოეზისა და ბელეტრისტიკაში, აუცილებელი საჭიროებაც კია; უაშისოდ ჰეშერიტი საეროვნო პოეზია შეუძლებელია“<sup>184</sup>.

11. ენა უნდა დავიცათ უცხოენოვანი მასალის შემოჭრისაგან: „ჩვენი ენის უდიდესი ნაკლი რუსიციზმებია. არაფერი ვვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ რუსული ან ევროპული განათლება შევიძინოთ, მაგრამ არ უნდა გავრცვნათ ენა არც რუსიციზმებია, არც გალიციზმებით და არც გერმანიზმებით“<sup>185</sup>.

12. უცხო ენათა გავლენისაგან კარგადაა დაცული ხალხის, გლეხებისა და საგმირო ზეპირსიტყვაობის ენა. ყველა ლროის დიდებული მწერლები იმ საუნგიდან კრებდნენ მარგალიტებს. „გაისენეთ პუშკინის სიტყვები: ენა უნდა ვისწავლოთ მდაბიო ხალხშით“<sup>186</sup>.

13. სხვა ენიდან „არა ყოველი გამოთქმა შეიძლება გაღმოითარებოს... მრავალი ისეთი გამოთქმა რუსულშიაცა და სხვა უცხო ენაშიაც, რომლის პირდაპირ თარგმნა ქართულის შებღალვად უნდა მიათვალოს“<sup>187</sup>.

ცოტა მოვინებით, 1911 წ. გამოქვეყნებულ წერილებში ჩანს, რომ გრ. ყიფშიძის მოსახრებებმა გარკეეცული ცვლილება განიცადა, ზოგი რამ დაზუსტდა, დაიხვეწა, ზოგი ახალი თეზისი იქნა წამოყენებული... ამ საინტერესო მოღვაწის შეხედულებათა სრულად წარმოსადგენად ამ წერილებს ვთვალისწინებთ. „ივერიაში“ მოღვაწეო-

<sup>181</sup> „მოამბე“, 1895, № 4.

<sup>182</sup> იქვე.

<sup>183</sup> იქვე.

<sup>184</sup> იქვე.

<sup>185</sup> „ივერია“, 1903, № 4.

<sup>186</sup> იქვე.

<sup>187</sup> „ივერია“, 1903, № 13.

ბის შემდგომი პერიოდის თეორიული ნააზრევი გრ. ყიფშიძისა შეიძლება ისე ჩამოეაყალიბოთ:

1. ახალი სალიტერატურო ენა ვრცელია. „ახალმა მწერლებმა... დომშვიდით აურეას ძველი და ახალი სიტყვები, საგრძმატიკო ფორმები, ეტიმოლოგია და აინტეაქსი... ყვილა ისე სწერს, როგორც მოეპრიანება... პრესა ცდილობს ერთ რომელსამე მართლწერას დაადგნენ, მიგრამ აქაც ვერ შევთანხმებულვართ. ერთი რედაქცია ერთს მართლწერას ადგა. მორჩე — შეორეს...“<sup>188</sup>.

2. საჭიროა შემუშავდეს ჯველასათვის სავაჭრდებულო მართლწერის წესები. „რესერში, საცა სამეცნიერო აქადემია არსებობს სიტყვეირების განკუთვილებით, მოვლს სიუკუნეს ... მოუნდნენ მართლწერის დამყარების“ და დღესაც ბევრი სადცვო საკითხი აქვთ, მიუხედავად იმისი, რომ აქეთ განათლების სამინისტრო, რომელსაც ძალებს ერთვარი ნორმების გატარება სახელმძღვანელოში, სკოლებში: ჩვენ ასეთ ხელმძღვანელ ძალას მოკლებული კართ და დღეს საერთო საყოველთაო ქართულს იმდენი ელფერი მიეცა, „რამდენი გრძმატიკოსიც გვივის ან რამდენი კილოც გვაძვს“<sup>189</sup>. რას დავეყრდნოთ, რაზე ავილოთ ორიენტაცია?

3. სალიტერატურო ენის ქავაუთხედი ქართლური კილო. მას უნდა ეყრდნობოდეს, „ვისაც წმინდა ქართულისთვის გული შესტევა...“. ქართლში „ხალხი, მდაბიო და დიდებული, ლაპარაკობს ლიტერატურულის ენის კილოთ ... ეგ კილო და ხვენი დღევანდელი სილიტერატურო ენა თითქმის არ განსხვავდება და უბრალო გლეხი და გლეხის დედავიცუკი ისე ლაპარაკობს, თითქმის ჩვენს საუკეთესო სილიტერატურო ნაწერებზედ აღზრდილათ“<sup>190</sup>.

მართლია, ქართლურის ყველა სიტყვა და ფორმა სილიტერატურო ენისათვის ირ გამოდგება, მიგრამ არსებითია ირა ქს, ირამედ ის ფაქტი, რომ სილიტერატურო ენას ქართლური კილო თითქმი საუკუნელი და „ბუნება და სული ამ კილოსი სავსებით გამომყევა“ მას<sup>191</sup>.

4. მცენათ-თბილისი და მისი შემოგარენი იყო საქართველოს უძველესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, ამდენად ქართლუ-

188 „განათლება“, 1911, № 8, გვ. 498.

189 იქვე, გვ. 561.

190 „ქართლი — ზემო და ქვემო ქართლი — იყო და არის საკმაოდ ცრცილი ტერიტორია და მისი სიერცე ეფინებოდა დაახლოებით: ტეილოსისა, ღუშეთისა, კოჩისა, ახალგაზისისა და ახალგაზისის მაზრებს, საბარათონის ანუ ბორჩალოს ნაწილს, სწვედებოდა შორის მაზრის ნაწილსაც, მოვლა მესხეთს, რომელიც იყო, ვახუშტის გვოგრაფიით, ზემო-ქართლი, ქართლის ცხოვრებით — ქვეყანის ზემოისა ქართლისაც“. „განათლება“, 1911, № 8, გვ. 561.

191 იქვე, გვ. 559.

რი კილოს გაბატონება სალიტერატურო ენაში ბუნებრივი ისტორიული პროცესის შედეგი იყო და არა ჩაიმე ძალდათანებისა. „კულტურული გვახარებდეს და გვამხნევებდეს ის გარეზოგან, რომ საერთო ცენტრი გვაქვს, ერთი საერთო სალიტერატურო ენა მოუცია ჩვენთვის ისტორიას და იმას უნდა უფრთხილდებოდეთ“<sup>192</sup>.

ა. „სალიტერატურო ენის გამზვენერების საში წყაროა: სოფელი, საცა ქართული თავისუფლად იბრუნებს სულ და სჩექფს ინკირა წყაროსაცით შეურევნელ-გაურყვნელი, ძველი შეტრონბა, მაშინდელი, როცა საჭიროელო დამოუკიდებელი იყო და ყოველს დარგსა და სფეროში ქართული ბატონობდა, უფლობდა, თავისუფლად პნავიარდობდა და შეტრონბა ახალი, საუკეთესო მწერალთაგან შემუშავებული“<sup>193</sup>.

სოფელში „უნდა ვიგულისხმოთ ქართლის სოფელი, ქართლის სოფელში მოუბარი ხალხი და ისიც ყველა ვიგინდარა კი არა, არამედ რჩეულნი, ენაშეტყველნი, ენის ალლოთი და ნიჭით ზედაჯილდობულნი, სულ ერთია რა წოდებისა და სქესისა არ უნდა იყოს ასეთი მცოდნე ენისა“<sup>194</sup>.

8. ქართლურის ახეთ დიდ როლთან ერთად სხვა პროვინციებინ კილოებსაც გარკეთული შინშვენელობა, ენიჭება: ა. პერსონაჟთა დახახახიათებლად (მაგ., ნინოშვილის, კლიდიაშვილის, რაზიეგიშვილების ნაწერებში); ბ. ლექსიური მარაგის გასამდიდრებლად: სხვა კილოებში უთუოდ აღმოჩნდება სალიტერატურო ენისათვის გამოსადეგი სიტყვა თუ ტერმინი, მაგრამ მათი გამოყენებისას სიფრთხილეა სპირო. კიდევ მეტი სიფრთხილე უნდა გურულ-იმერულ-ფშაური გრამატიკული ფორმების და, მითუმეტეს, „საფიგურო, მეტაფორული და მხატვრული ელვარე გამოთქმების“ სესხებისას<sup>195</sup>; გ. ენის ისტორიისათვის: გურულს, იმერულს, რაჭულს, ფშაურს... დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენისა და ქართლური კილოს სატყვეოთა წარმომავლობის, ეკოლუციის შესწავლაში (ორთხდ, ისტორიულ პერიოდში). ხოლო ქართული ენის პრეისტორიული ხანის გასაშევებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ლაზურ-მეგრულ-სვანურის შესწავლას. „ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსა ჰევენს ჩეენის საერთო და სახოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჭირ ჩეენი ერთი ისტორია არც-კიდა წყებულიყო“<sup>196</sup>.

192 „ვანათლება“, 1911, № 8, გვ. 569.

193 იქვე, გვ. 559—560 (ხაზი ჩეენია. ლ. ლ.).

194 იქვე, გვ. 561.

195 იქვე, გვ. 565.

196 იქვე, გვ. 561.

7. ქახური კილო „ქართლური კილოსაგან თითქმის არაფრით განსხვავდება“<sup>197</sup>.

8. მასთანავე, უზურადღებოდ ვერ დავტოვებთ ჩვენს კლასიკონთა ნაწერებს და ძველ მწერლობას: „ორში ერთი უნდა ავირჩიოთ თუ არ გვინდა დავიქციოთ... დიდებულად ამართული შენობა ენის წარმატებისა და ერთიანის კულტურის შექმნისა: ან ძველს მწერლობას უნდა დაცემუაროთ და ცველამ ის გავიხადოთ სახელმძღვანელოდ, ან ქართლის კილოსა და ლაბარიკს დაუგდოთ ყური“<sup>198</sup>. ზაგრამ მხოლოდ ძველ ქართულზე ორიენტაცია არ გამოვეადგება, რადგან ძეელი ქართული სახმარი, ცოცხალი ენა აღარ არის; მისი „ბაძვა სიკვდილი იქმნება ჩვენის სულიერის შემოქმედებისათვის, რადგან იმას სიცოცხლის ძარღვი ჩაწყვეტილი აქვს, სიცოცხლის დუღილში აღარ არის“<sup>199</sup>. ეს, რა თქმა უნდა, ძველი ენის მთლიანად უგულებელყოფას არ გულისხმობს: „ეს იმას როდი პნიშნავს... ძველს მწერლობას ნუ შევისწავლით, მის ბუნებას ნუ დავაკვირდებით“<sup>200</sup>.

„ქართული სალიტერატურო ენა არის ძეელი მწერლობის ნაშობი და ქართლის სალაბარიკო კილოზე დამყარებული, რომელიც ბოლოს შეიმუშავა ალ. ჭეკვაძემ, ნ. ბარათაშვილმა თვისის ფოლადებრ მტკიცე ლექსითა, გრ. ორბელიანმა, რაფ. ერისთავმა, ილიამ და აკაკიმ“<sup>201</sup>.

9. ქართული მეტყველების საუკეთესო ნამუშები შეიძლება ხალხურ შემოქმედებაში ვიპოვოთ: ენის „ბუნების მცოდნე ხალხის კილო და შენ ქართულის წმინდად და ლაბარიაზისა დაცულია... საერთო პოეზიაში ... პოეტურ პრიზაში: ზღაპარ-არაქში, გამოცანა-ანდაზაში და სხვ.“<sup>202</sup>.

10. ხალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის კეთილშმოვანების პრინციპი არ გამოდგება, რადგან ის სუბიექტური პრინციპია.

XI. ალექსანდრე ხახანაშვილი. ჩერ ისევ ილია იყო „ივერიის“ რედაქტორი, როდესაც გახეთში გამოქვეყნდა ალ. ხახანაშვილის წერილი „ქართული სამწერლო ენა“<sup>203</sup>. წერილს ახლავს რედაქტირის შენიშვნა: „ებეჭდავთ ამ წერილს, თუმცა აეტორის აზრი ზოგიერთს საგანზედ არ ვეთანხმებით“. წერილში შემდეგი მოსახრებებია გამომტმული:

197 „განათლება“, 1911, № 8, გვ. 565.

198 იქვე, გვ. 499.

199 იქვე.

200 იქვე, გვ. 561.

201 იქვე, გვ. 498.

202 იქვე, გვ. 499—500.

203 „ივერია“, 1901, № 82.

1. ლიტერატურული ენა ყველგან და ყოველთვის ხელოვნურად შენდება რომელიმე კილოს საფუძველზე. რესულის საფუძველია მოსკოვური კილო, ჩევნი ენისა — ქართლური.

2. „კილოების შეტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხვეჭა სისფროთხილით, მაგრამ აუცილებლად, რადგან მწერლობის განვითარება თხოულობს მისი ენის და მდაბიო ენის დაახლოვების“<sup>204</sup>.

3. თანამედროვე სალიტერატურო ენა სრულიად ახალი მოვლენაა და მისი ისტორია იწყება გ. ერისთავის ნაწერებიდან, რომელმაც სალიტერატურო ენას ქობად დაუდვა ქართლური კილო. ის კილო გაბატონდა კიდევ მწერლობაში.

4. ქართული სამწერლო ენის ცვლა ჩვენს თვალშინ ხდება. რაზი-კაშვილებმა და ა. ყაზბეგმა დამკვიდრეს ლიტერატურაში მთაში დარჩენილი სირტვები და ფორმები. ამას დაემატა... მდაბიური ენა იმერეთისა და გურიის ცხოვრების ამსახველ მოთხრობებში (დავ. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი). მეტიც, ილიას „კაცია-ადამიანი“ ენობრივად განსხვავდება „ოთარაანთ ქვრივისაგან“, რომელიც თცდათი წლის შემდეგ დაიწერა.

5. ყოველვე ის არღვთს დებულებას ქართული ენის კონსერვატიული ბუნების შესახებ: „საერთოდ ამ ორმოცი წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილები საკმიანისია და მათ უსაფუძღლობას იმ აზრისას, რომ ქართული ენა დროთა განმავლობაში არ შეიცვალა და „ცეცხის ტყაოსნის“ ენა ახლაც სუსკელასთვის ვითომც გასაგებია“<sup>205</sup>.

\* \* \*

ზემომოყვანილი მისაღიდან, ეფიქტობო, გამოჩნდა, რომ „ივერიაში“ ასეხა ენის ნორმალიზაციის პროცესთან დაკავშირებული იქნის ჩამოყალიბება-განვითარება.

ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში რამდენიმე ეტაპი მრიცი, საკვანძო პროცესი დაისვა. უპირველესი, ბუნებრივი იყო ახალი სალიტერატურო ენის დემოკრატიაზეციის საფითხი. ამ აზრში გამოარვა ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ცხარე პოლემიკაში დაასაბუთეს ხალხის ენაზე ორიენტაციის აღების თუცილებლობა, ახალი სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების, მის საკუთარ კალაპოტშივ დაბრუნების გარდაუეალობა.

1875 წ. დაიხურა უურნ. „ცისკარი“ — „დარბაისლური ენის“ მომხრეთა უკანასკნელი ქომიგი — და სალიტერატურო ენის გახდასურების პრინციპს მოდავეც აღარავინ დარჩა (ს. გორგაძე)<sup>206</sup>.

204 „ივერია“, 1901, № 82.

205 იქვ.

206 „მნათობი“, 1925, №№ 5—6.

განალტურების პროცესში ფართოდ გაუხსნა: გზა: ხალხურ მეტა-  
უკალუბას, დიალექტურ ფორმებს, რის შედეგადაც სალიტერატურო  
ენაში გაჩნდა უამრავი პარალელური ფორმა, დიალექტიშები. ენა  
ეტრულდა, დამძიმდა და წამოიჭრა ახალი პრობლემა: რა დოჭირ უნდა  
შემოვწვათ დიალექტიშები სალიტერატურო ენაში, რომელ დია-  
ლექტს უნდა დაჰყორდნობოდა ახალი სამწიგნობრო ენა. სულ მძღვა გა-  
მოიკვეთა ორი გვზი — ერთს „ივერია“ იცავდა, მეორეს — „დრო-  
ება“ და „კვალი“.

„ივერიელნი“ იმთავითვე იმ აზრს დაადგნენ რომ სალიტერატუ-  
რო ენის საყრდენი დიალექტი ქართლურია (პ. მირიანაშვილი მესხურს  
ანიჭებდა პრიორიტეტს), მაგრამ მას შემდეგ, რაც სალიტერატურო ენა-  
ში შემოვიდა ფშავრი, მოხეური, იმერული, გურული..., ენის თეორე-  
ტიკოსებმა დიალექტს დასივლური და სხვა დიალექტების ადგილიც ახა-  
თი სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბების პროცესში. დაე. ყიფიანმა კი  
სალიტერატურო ენის საყრდენად საერთო ქართული გამოიცხადა.

სალიტერატურო ენაში პარალელურ დიალექტურ ფორმათა გაჩე-  
რება და უცხო ენათა გავლენით ლექსიკურ-გრამატიკული ბარბარი-  
ზმების მოზღვავების გამო მწვავედ დადგა იხალი საკითხი, საკითხი  
ენის უნიფიცირებისა, დაბევჭისა, ერთი სავალდებულო ფორმის დად-  
გენისა. პერსაში რამართებოდა მსჯელობა, პოლემიკა კონკრეტული სა-  
კითხების შესახებ. მაგრამ მაღლ ნათელი შეიძნა, რომ ამ გზით საკი-  
თხების გადაწყვეტილებული იყო. ჩამოყალიბდა საზოგადოებრი-  
ვი აზრი, რომ საჭიროა ენის მცოდნე პირთვის შედეგს კომისია. რო-  
მელიც შეისწილის და გადატრის სადაც საკითხებს, მიიღებს ყველა-  
საკითხს სავალდებულო კინონებს. ასეთი ცდები იყო კიდეც (ცხობი-  
ლია, რომ ილია ერთი ასეთი სხდომა მოუწევება 1886 წ. 8 მარტს).  
შედეგი კი არ ჩანდა, რადგანიც არ არსებობდა ყველასათვის მიხალე-  
ბი, სავალდებულო თეორიული წანმძღვრები, რომლებითაც იხელ-  
მძღვანელებდნენ, არ იყო შემუშავებული პრინციპები, რომელთაც  
დაეყრდნობოდნენ. მაგრამ თანდათანობით მსჯელობაში, კამათში, ენის  
საკითხების კვლევაში ეს პრინციპები იქვეთებოდა, ყალიბდებოდა, იხ-  
ვეწებოდა.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა „საქართველოს მოა-  
ბესა“ და „ივერიაში“ გაბნეული პრინციპული ხასიათის ფეხულებე-  
ბი. ამ უურნალებში გაშუქებული, ისეთი საკითხები, რომელთა დასმა  
და განსხვა-განხილვა ნიადაგს უმხასებდა ახალი ქართული სალიტერა-  
ტურო ენის ნორმათა ერთიანი პრინციპების შემუშავების (ცხადია,  
„ივერიაში“ ბევრი იბეჭდებოდა ცალკეულ სადაც საკითხთა შესა-  
ხებაც, მაგრამ აյ მათ გვერდს კუვლით).

ავტორებს, რომლებიც ამ საკითხებს იხილავენ, აერთიანებს ძირითად შეხედულებათა ერთგვარობა, ერთი აზრი პრინციპულ საკითხებზე. ისინი ძირითადად ილისა და დავ. ყიფრანის შეხედულებებს ეთანხმებიან, თუმცა, ამასთანავე, ბევრ საკითხზე განსხვავებული, ორიგინალური შეხედულებებიც აქვთ.

„ივერიაში“ წამოყენებულ ზოგად საკითხთა ერთობლიობა „ივერიის“ პოზიციას ქმნის. ეს პრინციპული საკითხები შემდეგია:

1. ენა ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, ხალხის შაორგანიზებელი გამაერთიანებელი ძალაა. „საზოგადოებას, რომელიც არის შეკავშირებული ერთისა და საზოგადოს ენითა... პევიან ხალხი“. (დავ. ყიფრანი). „ისრებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა... ენა საღვთო რომ არის, საზოგადო საკუთრებაა“ (ილია). „ენის ერთობაც ძალა გახდავთ ერისთვები...“ ქართველები ერთ ერს წარმოადგენენ, რადგან „ერთის ტომისანი არიან, ერთს ენაზე უბნობენ...“ (ი. გოგებაშვილი). „ენას უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში... ენი თითქმის ყველაფერია... ის ერი არ არის, რომელსაც თავისი საკუთარი ენა არა აქვს... ენა ხომ იგივე ერია... ენა მისი (= ხალხისა — ლ. ლ.) სარეკა მითის სულისა“ (გრ. ყიფრანი).

2. არაერთგზის აღნიშნულია, რომ ილია მდგროინდელი ენათმეცნიერების დონეზე იდგა და ხევრი საკითხის შესახებ მართებული შეხედულება ქვენდა. მაგ., მას სწამეს, რომ ენის კანონები ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად ყალიბდება თვით ენაში, ამ კანონებს თვით ენა ქმნის.

ამავე აზრს გამოთქვემს დავ. ყიფრანი: ენის „წარმატებისა და ცვლილებას თავისი ბუნებითი კანონი აქვს“; ნ. ურბნელი: ენის გარენა და განვითარება, ისტორია ენისა თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება; ალ. ნანეიშვილი: ენის კანონები ბუნებრივი კუთვნილებაა ენისა, ენასთან ერთად დაბადებული; ი. გოგებაშვილი: ენის კანონები საკუთარი ენის თვისებებიდან უნდა ამოღიოდეს; ღიმ. ყიფრანი: გრამატიკის კანონებიც თვითონ ენის თვისებითაგან გმოკრებილია; გრ. ყიფრანი: გრამატიკა თავისთავიდ კი არ ისრებობს, იგი ცოცხალ ენას ექვემდებარება და იმის ფუნქციებს აღნიშნავს მხოლოდ.

3. მეტად ფასეულია ილისა და დავ. ყიფრანის მიერ განვითარებული და სხვთა მიერ მიღებული და გაზიარებული თვალსაზრისი ისტორიზმის პრინციპის შესახებ. ენა ცვალებადია, ცვალებადია ენის კანონებიც. „ხშირად ექნება, რომ კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უცარგისნი ირის ხოლმე. ამიტომ ახალი ენა ძველ ენას

არ ჰევეს” (ილია)<sup>207</sup>; „ენა წინ მიდის, იცვლება, მდიდრდება ახალი სიტუაციით” (ვაკა-ფშაველა); „მოელს მსოფლიოში უძრავი არა არის რა... ენაც ამგვარს დაუცხრომელს მოძრაობაში არის” (დიმ. ყიფიანი); „ახალი ქართული განსხვავდება ძველი ქართულისაგან” (პ. მირიანა-შვილი); ძველს მწერლობაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ქართული ენის კანონები... სიტუაცია, რომლებიც დღეს ხალხს ან დავიწყნია, ანდა იმის უყრამდე არც კი მისულა (ა. ნანევიშვილი).

4. ოქტომბერის სალიტერატურო ენის ხაყრდენად ხალხური ენის მინევის შესახებ ისევე საერთო პრინციპის „იეერიის“ (და არა მარტო „იეერიის“) ფუტორებისათვის: „ხალხია ენის კანონის დამდები. მხატვრული ლიტერატურა ხალხისთვის ვასაგები ენით უნდა იწერებოდეს“ (ილია); „ლიტერატურის ენაც ისეთი უნდა იყოს, რომელსაც უწოდებენ მდიდიურსა“ (დავ. ყიფიანი).

მრუდეა და ასარულებლად შეუძლებელი აზრი იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ენაც ავირჩიოთ ძველი სალიტერატურო ენის ფორმებთან შეზავებული „დარბაისლური კილო“ (დავ. ყიფიანი).

„ხალხი, ერთ დედაა ენისა, იგი პბადებს და ზრდის ენას“ (ვაკა); „ახალმა ქართულმა მწერლობამ... მიმართა სახალხო ცოცხალ ენას... საერთო ენა, რაც კი ჩამო კარგი და შვერიერია სათემო კილოში, ითვისებს, ისაკუთრებს“ (ნ. ურბნელი); ჩვენი მწერლობის ენა და მდაბიო ხალხის ენა დიდად არ არის ერთმანეთისაგან დაშორებული. ეს სიახლოევე უნდა დავიცათ შემდეგშიც. მიმტომ უნდა გაფურთხოს დეთ, რომ მწერლის ენა ხალხისას არ დაშორდეს (გრ. ყიფუშიძე); „სალიტერატურო ენის ბედი თემის ბედოან არის შეერთებული. რა თემშიაც პირველად დაიწყება მოქალაქეობრივი ცხოვრება, მი თემის კილოც სახოვადო, სამწერლო ენად ხდება“ (პ. მირიანა-შვილი); „სამწიფენობრო კილო“ უნდა მისდევდეს, არ უნდა დაშორდეს სისაუბრო კილოს (დიმ. ყიფიანი); თუ ენა მძიმე და გაუგებარია, მაშინ ასეთი მწერლობაც უქმია (ალ. ნანევიშვილი).

5. ურევვა დებულება ერთი სალიტერატურო ენისა და ერთიანი, დახვეწილი ენის აუცილებლობის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია ილიასა და მის თანამოსაგრეთა ბრძოლა ერთი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად, მათი თავდადება ერთიანი, მონოლითური სალიტერატურო ქართულისათვის.

6. „იეერიელები“ აქტოურად იბრძოდნენ ენის სიწმინდისათვის: „ენის სიწმინდეს ისეთივე ყურალება უნდა მიექცეს, როგორც დიდი ლრმად რამ საერთო რწმენას, როგორც თვით სულს... შებღალვა ენი-

207 იმაში კი ცდებოდა ილია, ენა რომ ცოცხალ თავისიზად მიიჩნა. მის შესახებ ინ. არ ნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ტუ., 1938, ვე. 11.

სა იგივე შებლალვად ერისა...” (გრ. ყიფშიძე), პარალელურ გრამატიკურ ფორმათა აღვევთას მოითხოვს პ. მირიანაშვილი. „ორი სიტყვა, ორნაირი სახე მისი ქცევისა [მწერლობაში] მიუღებელია“.

7. საესებით მართებულია იმ საქმეში მწერლისა და, ხერთოდ, მწერლობის დიდი როლის აღიარება. „ლიტერატურას შემყავს წარმატებაში ენა“ (ილია); „სათავე ენისა არის დიდ მწერლოთა ჩარმოქმნებსა და მთის კილოებში“ (ვაჟა); „ჩვენ ენა და კულტურა ქართლმა მოგვცა... ჩის შემდგომ ნიჭიერ მწერლოთა მიერ იქნა შემუშავებულ-განვითარებული“. „მწერლობის გრამატიკის განვითარებლობა ... ყოველი მწერლისათვის სავალდებულო უნდა იყოს“ (პ. მირიანაშვილი). „სალიტერატურო ენის გამშვენიერებისათვის სამი წყაროა: სოფელი, საცა ქართული თავისუფლად იძრუნებს სულს... იელი მწერლობა, მაშინდელი, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო... და ყოველს დარგსა და სფერაში ქართული ბატონობდა... და მწერლობა ახალი, საუკუთხსო მწერლოთაგან შემუშავებული...“ მწერლობის ვალია გაბასუციას „დყდა-ენის სიწმინდისა და კანონერებისათვის“ (გრ. ყიფშიძე). სალიტერატურო ენის განვითარება, გამდიდრება, წინსვლა მწერლობასთან არის შეიძროდ დაკავშირებული. ბოლო „40 წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილება აშკარაა. რაზიერაშვილებმა, ყაზბეგმა, ნინოშვილმა და კლდიაშვილმა სამწერლო ენა გააძლიდრეს ხალხის მეტყველების ფაქტებით“ (ალ. ხახანაშვილი).

ამავე დროს, „ლიტერატურა არის ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“ (ი. გოგებაშვილი).

8. ლიტერატურა, წიგნი მტკიცებულებენ ენას თვების სახეს, წიგნის ენა უფრო დაცული, მყარი და კონსერვატიულია (ილია).

9. „ივერიაში“ ყურადღება გამოხვილეს იმ უდავო ფაქტზე, რომ ხალიტერატურო ენის დახახვეწად, მისი სიწმინდისათვის არ კმარა ორთოგრაფიული და მორფოლოგიური ფორმების მოწესრიცება. ხაჭირო აგრეთვე ენის სინტაქსური მხარის დახვეწაც, .... უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთამოთ ეს სიტყვები ცრომეორებს და წინადადება როგორ ავაშენოთ (ვაჟა-ფშაველი); „ჩვენის ფიქრით, ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საქმე ასოდი, მარცვლები და სიტყვები კი არ არის... საქმე სინტაქსია, ლექსთათხზულებაა, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა“ (გრ. ყიფშიძე); ქართული ენისათვის არაბუნებრივ, შეუფერცებელ კონსტრუქციებს უარყოფს დიმ. ყიფიანი, რომელიც წინააღმდეგია აგრეთვე როგორ, გრძელი წინადადებებისა: „ნაწილ-ნაწილ“. დაუავით ეს „უწველებელი პერიოდებით“, — მოუწოდებს იგი მწერლებს.

10. მართლწერის წესების შემუშავების დროს დაუშვებელია, რომ რომელიმე კუთხის მეტყველებას მიეცეს უპირატესობა. „ქართულ გრამატიკაში საქართველოს არც ერთი მხარის გაცალკევება არ უნდა ჩაეთქოს ქართული ენის საზოგადო კანონიდან“ (დავ. ყიფიანი).

11. ქართული ანბანის გამარტივებას, ზედმეტი ასოების ამოღებას ყელა ზემოთ დასახელებული ავტორი უკერს მხარს (ცხადია, გრ. ორბელიანი აქ არ იგულისხმება). ამ საკითხზე ილიამ და მისმა მომხრეებმა ჯერ კიდევ „ცისკარში“ გადაიხადეს და მოიგეს კიდევ დიდი ბრძოლა. „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ გამარჯვებული იდეს ხორცისებმას, დაქანონებას ახდენდნენ, პრატიკული ასორცულებულებას.

დავ. ყიფიანი 1863 წ., როდესაც ბრძოლა მთლად ჩამცხრალი არ იყო, წერდა: ძევლი ასოები (მ, ვ, წ, ჭ, მ) ზედმეტია, რაღაც აეხლა პირველობა აღიარა იქვე რა ენაშიც. ყოველი მათვანის შესაბამისი ბერის გამოხატვა შეუძლია სხვა ასოებს, ხოლო უკეთ მოგვიანებით, 1881 წ. დიმ. ყიფიანი თავის გრამატიკაში აცხადებს: „თუ არ ანგარიშისათვის, არას შემთხვევაში, არც ერთი ამ ასოთაგანი საჭირო არ არის“ (დიმ. ყიფიანი).

ამასთანვე, „ივერიელები“ თითქმის ერთხმად აღნიშნავენ ქართული ანბანის სრულყოფილებას — შესაბამისობას ასოსა და ბერას შორის: „არა მონია სხვა ხალხს პქნდეს ვისმე ისეთი ბუნებასთან დაახლოებული, განმირტივებული და ადვილად სასწავლო ანბანი, როგორიც ჩვენა გვაქვს“ (დიმ. ყიფიანი).

12. სამართლიანი შეფასება მისცეს „ივერიელებმა“ ენის ლექსიური ფონდის მნიშვნელობას, ერთი მხრივ, და ენის სხვა მხარეებთან შედარებით ლექსიების ყვალაზე მეტად ცვალებად ბუნებას, მეორე მხრივ. ენის წინსელა, ცვალება ყველაზე მეტად ლექსიებს ეხება: „ენა მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალოა ცნებათა გამოსახატვით“ (ცაფი).

ლექსიების სიმდიდრე ენის სიმდიდრის, ხალხის გონიერივი განვითარების ნიშანია. ი. გოგებაშვილის აზრით: „რამდენიც ხალხი დაბლა დგას აზრებითა და განვითარებითა, იმდენად უფრო ღატაყიი სიტყვებით, ფორმებით, საოცრად მატიარი ლექსიერი აქვს“. ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება წინ სწერს ერს გონიერივად. „რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაშია... სიტყვა აზრის წარმომადგენებულია... რაც აზრი მეტია, სიტყვაც მეტია“ (ილია).

რამდენადც უფრო წინ წასულია და წარმატებულია [ენა], იმდენად უფრო მომზადებულია ყველა ცნების გამოსახატვად. მაშინ

ენას ყველა ცნების გამოსახატივად საკუთარი სიტყვა მოეპოვება (ფაქტი).

13. „ივერიაში“ სოციალური სანქციის ჩოლი და მნიშვნელობაც არის დანახული. ახალი სიტყვის თუ ფორმის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ენამ მიიღოს, ხალხმა იხმაროს ეს სიტყვა, ე. ი. სიტყვამ მოიძოებს საზოგადოებრივი სანქცია. „უვარების სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ, თუ ხალხი ხმარობს, მაშინადამე ვარგისიანია“ (ილია). „მწერალი მოვალეა ყველა სიტყვა გაიცნოს ლიტერატურულ ენას. თუ ის შეფერება ენის ხსიათს, მის ბუნებას, ენა მიიღებს მას“ (ფაქტი). „ამა თუ იმ გრამატიკული ფორმის გასიმართლებლად ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია ხალხის მიერ მისი ხმარება და საგრამატიკო საბუთები“ (ი. გოგებაშვილი).

14. მყარია „ივერიის“ პოზიცია სალიტერატურო ენის განვითარებაში დააღვეჭთის როლის თაობაზე — დიალექტებს სალიტერატურო ენის უშრეტ წყაროდ აღიარებენ.

დიალექტებში დაცული ისეთი ლექსიკური მასალის შემოტანას, რომელიც სალიტერატურო ენას არ გააჩნია, მხარს უჭირენ ვაჟა-ფშაველა, პ. მირიანაშვილი, ალ. ხახანაშვილი, თ. გოგებაშვილი... „კილობის შემოტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიფრთხილით, მაგრამ აუცილებლად, რადგან მწერლობის განვითარება თხოულობს მისი ენის და მდაბით ენის დაახლოებას“ (ალ. ხახანაშვილი).

15. სადაცო შეიქნა სალიტერატურო ენაში შესატანი დააღვეჭტური მასალის ხასიათისა და დოზების ხავითხი. ნ. ურბანელის აზრით, დიალექტური მასალის უშუალოდ შემოტანა სალიტერატურო ენაში შეუძლებელია, ის უნდა გადამუშავდეს. პ. მირიანაშვილის მრკაცებით, შეიძლება მხოლოდ დიალექტური ლექსიკის (და არა გრამატიკული ფორმების) შემოტანა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სალიტერატურო ენას ყელია ბალანი სიტყვა. დაუშვებელია პროვინციალიზმების ისე უხვები შემოტანა, როგორც ამის ვაჟა-ფშაველა და დ. მაჩხანელი ფეთქებენ. „ენის გამდაბიურება სულაც იმას არ ნიშნავს, რომ მდაბიოსაგან შეცდომით ხმარებული რომელიმე ფორმა მწერლობაში შემოტანო... ჩევნი მწერლობა მოვალეა... მეტწორცი პროვინციალიზმებით არ გაახორცილოს გასუფთავების მაგიერ ენა“. ვაჟა-ფშაველის რწმენით, მწერალი ვალდებულია ხალხური სიტყვა ან ფორმა გააცნოს სალიტერატურო ენას. თუ ენას არა აქვთ ასეთი სიტყვა და სხვა ენიდან სესხულობს, შეიძლება მიიღოს კუთხური ლექსიკური ერთეული. გრ. ყიფშიძეს დიალექტური პარალელიზმების არსებობა სალიტერატურო ენაში დასაშვებად მიაჩნია — თუკი სიტყვა უცხო ენიდან არ არის შემოტანილი და საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში იხმარება, კანონიერია და შესაწყნარებელი. ი. გოგებაშვილის აზრით, „პირველ-

საკითხავმა წიგნში უნდა გააკრცელოს ეს (დიალექტური—ლ. ლ.) მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუმკვიდროს მათ არსებითს ბრძოლაში”.

„ივერიელთა“ შორის დავას არ იშვევს ერთი თეზისი: დიალექტიში პერსონაჟის მეტყველებაში უყოფანოდ შეიძლება გამოიყენოს მწერალმა.

16. „ივერიაში“ დაყენებულ იქნა ახალი ქართული ხალიტურატურო ენის ხაყრდენი დიალექტის საკითხიც. ასეთად „ივერიელთა“ დიდი უმრავლესობა ქართლურ დიალექტს მიიჩნევს, თუმც დავ. ყიფიანი 1863 წ. („საქართველოს მოამბეში“) ამტკიცებდა, რომ ლიტერატურის ენა უნდა იყოს საერთო-ხალხო ენა, მთელი ერის ენას: „ლიტერატურის ენაც... უნდა იყოს... ცოცხალი ხალხის ენა, მაგრამ არა ენა ამა თუ იმ კუთხისა — ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა“, ასამედ „მთელი ქართველი ხალხისა“, რომელზედაც „მთელი ქართველი ხალხი, — ქართლელი, კახელი თუ იმერელი კი არა, — მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობს“.

მაგრამ ქართლური დიალექტის პრიორიტეტს მაინც ბევრი დამცველი ჰყავს: სალიტერატურო ენა ყველგან და ყოველთვის ხელოვნურად შენდება რომელიმე კილოს საფუძველზე. რუსულის საფუძველია მოსკოვური კილო, ჩენი ენისა — ქართლური (აღ. ხახანაშვილი). „ზემო ქართლიდამ გამოიდა პოლიტიკა და იმისი ენაც გამოავრდა საქართველოს დანარჩენ თემთათვის... ზემო ქართლი მოიცავდა მესხეთსაც“ (პ. მირიანაშვილი). 6. ურბნელი წინ აღუდვა მესხური-სათვის პრიორიტეტს მინიჭებას. ვრ. ყიფშიძე კატეგორიულად აცხადებს: სალიტერატურო ენის ქვაკუთხებდი ქართლურია, მას უნდა მივყეთ, რაღაც ქართლური კილო სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება, მას უნდა ყერდნობოდეს, „ვისაც წმინდა ქართულისთვის გული შესტკივა“.

მაგრამ ჩენი ენის თეორეტიკოსები მალე აღმოჩნდნენ ჭიუტი ფაქტის წინაშე: ქართულ ლიტერატურაში მკვიდრი ადგილი დაიკავეს დავ. კლდიაშვილმა თავისი იმერულით, ე. ნინოშვილმა თავისი გურულით, რაზიკაშვილებმა და ყაზბეგმა მთის მეტყველებით... ასე რომ, ვეღარაფერი დააბრკოლებდა ამ ფაქტის აღიარებას. პ. მირიანაშვილმაც კი, რომელიც ქართლურის პრიორიტეტს ბოლომდე იცავდა, მთვლიანებით მაინც დაუთმო გარკვეული ადგილი სხვა დიალექტებსაც: „უნდა ვწეროთ, როგორც ილაპარაკება ქართლში და გავამდიდროთ იგი იმ გურულ-იმერული სიტყვებით, რომელებიც დედა-ქართლში აღიარ დარჩენილა... კარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთსა და ზემო იმერულში“ („სახალხო საქმე“, 1919, № 695). ი. გოგებაშვილმაც აუცილებლად მიიჩნია სხვა კილოთა მონაწილეობა და გზა

დაულოცა მათ. მისი აზრით, მარჯვე სიტყვა და გამოთქანა, რომელი დიალექტისაც უნდა იყოს ის, უნდა დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში: „საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან იმისთვის გამოთქმანი, რომელნიც ზედ გამოჭრილნი არიან საგანზედ... პირველსაითხამა წიგნმა უნდა გაავრცელოს ეს მოხერხებულნი გამოთქმანი“ (ი. გოგებაშვილი). მისივე თქმით, თუმც დასავლური კილოები საფუძლად არ დასდებდა ჩვენს სამწერლო ენას, მაგრამ საერთო-ეროვნული ენის ფორმირებაში მათ საბატონ ადგილი უნდა დაეთმოს“... „ამ კილოებს ... დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ და დიდის სიხარულით ... ვეწაფებით ... იმერული და გურული კილო, საესებით დაცული მოქმედთა დასახისიათებლად ... ნინოშვილის ამა თუ იმ მოთხრობაში და ბ-ნ დ. კლდაშვილისაში..., ჩვენს დიდ აღტაცებას და აღფრთოვანებას იწვევს მუდამ“ (გრ. ყიფშიძე).

17. „ივერია“ გარკვეულ პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართული ენის ვანგითარება შეზღუდულია, ენა უფლებაა ყრილია. „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს საერჩიშოდ“ (ილია): „ქართული ენის მოხმარების ასპარეზი შემოკლებულია. დღეს იგი თავს აფარებს მხოლოდ სოფელში და ქართულ მწერლობაში“ (გრ. ყიფშიძე); „ჩვენი ენის წარმატებაც და შესწავლაც დიდხანს იყო შეფერხებული“ (ა. ნანეიშვილი); ქართული სალიტერატურო ენის დონე დასცა ქართული სკოლის უქონლობამ (პ. მირიანაშვილი).

18. „ივერიის“ ივტორები იმაზედაც მსჯელობენ, თუ როგორ უნდა წარიმართოს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ვანგითარება. ბუნებრივია, ამ საკითხში მსჯელობისას ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ძველ მემკვიდრეობასთან, ძველ ქართულ ენასთან მიმართება.

„ივერია“ აღიარებს ძეელი ქართული ენის კეთილისმყოფელ გავლენას ახალ სალიტერატურო ენაზე (ილია), ახალი ენის დასახვეწად ძველი მემკვიდრეობის მნიშვნელობას (პ. მირიანაშვილი), ძველ მწერლობაში დაცული მირეულ ფორმითა და სიტყვათა დიდ როლს (ა. ნანეიშვილი)...

გამოითქვა ისეთი აზრიც, რომელიც პოლემიკის საგანი გახდა: ახალი სალიტერატურო ენის წინსვლის ერთადერთი გზა არის ძველი ქართულის სიმდიდრისა და ახალი ცრკვალი ენის მონაცემთა გაერთიანება (ალ. ნანეიშვილი).

ამ აზრს წინ აღუდგა ნ. ურბნელი: ძველისა და ახლის ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ გარკვეული არაფერი არ არის ენაში, ძველი და ახალი ერთმანეთშია არეული; გრ. ყიფშიძის აზრით, ენის წინსვლისათვის აუცილებელია მისი გამოყენების არის გაფართოება

(ენის აცხოველებს, ამდიდრებს და აძლიერებს მისი გამოყენება ფართოდ, ცხოვრების უკელა სფეროში: მართვა-გადგეობა, მხედრობა, სასამართლო, სკოლა, საზოგადო და კურტო დაწესებულებები და ა. შ.).

უფრო მოვითაწებით, 1911 წ. გრ. ყიფშიძე წერს: სალიტერატურო ენის გამშენებირებისათვის სამი წყაროა: სოფელი ... ძეველი მწერლობა... და ახალი მწერლობა („განათლება“, 1911, № 8), ხოლო პ. მირიანშვილი იცხადებს: ახალი სალიტერატურო ენისა და სტილის ნორმები უნდა დაუახლოედეს „რუსობის წინა პერიოდის“ (კ. ი. მე-18 ს-ის) ქართულს. ძეველ ქართულზე ორიენტაციის იღება იყოჩინდება შედეგსთ („სახალხო საქმე“, 1920). ი. გოგებაშვილის აზრით, „კონკრეტული ლონისძებები ჩვენის დედა-ენის დამაცად და გასაძლიერებლად“ ასეთია: „დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს რგაბობაში... სკოლაში“; ყოველ ქართველს უნდა ჰქონდეს სამინო ქართული ბიბლიოთეკა და სისტემატურად კითხულობდეს რომელიმე ქართულ პერიოდულ გამოცემას; გადმოვიდოთ სხვა მცირერიცხვან ერთაგან და დავამცვადროთ ოგანებში თვეშეყრა. ქართული წიგნების ქოთხვა და მსჯელობა“.

19. საუცხოით სწორ პოზიციაზე დგანიან „ივერიილები“ უცხოენოვანი სიტყვების შემოტანის ხავითხშიც:

საერთაშორისო სიტყვები უკელა ხალხს შიულია, როგორც ლეიძლი სიტყვები და „არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ“ (ილია); არ არსებობს დედამიწის ზურგზე არცერცი ენა, რომელშიც უცხო სიტყვები არ მოიძოვებოდეს, საყოველთაო სიტყვების არმილება შეუწყისარებელია... თუ ისტორია დაავავშირებს ერებს ერთმანეთიან, ისინი უთუოდ დაისესხებიან ერთმეორეს ენობრივ მისალის. თვით წარმატებული ენაც კი იღებს რაიმეს ჩამორჩენილისაგან (ა. ნანეაშვილი): „რაც ახალი სწავლისა ან ახალი აზრისათვის არის საჭირო, ლექსი იქნება, ან შეხამება სიტყვებისა, უნდა შეითვისოს ენამ (დიმ. ყიფიანი).“

განსხვავებულ აზრს გამოიქვამს „ივერიაში“ კირიონი. ის მომხრეა იმისა, რომ გზა გადავულობოთ უცხოენოვან მისალის: „უცხო ენიდან სესხებას და ვალში ამოლოჩიბას გობს ჩვენიც ძველი აღვადგინოთო“, ძეველ ქართულ ძეგლებსა და დიალექტებში დავძებნოთ საჭირო სიტყვებით<sup>208</sup>.

20. მეორე მხრივ, იგივე მოლექტენი უცხოენოვანი მასალის მოზღვავების საფრთხეს ხედავენ და იბრძვიან მის წინააღმდეგ: უცხო სიტყვები არ უნდა შემოვუშვათ, თუ „თანასწორი მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში“ (ილია); „არ უნდა გავრცენათ ენა არც რუსიციზმებით, არც გალიციზმებით და არც გერმანიზმებით“ (გრ. ყიფ-

შიდე); „რაც ჩვენს ენაშია, უნდა ვამჯობინოთ სხვისას“ (ა. ნაწეიშვილი); შეცდომა უცხოური სიტყვების გაღმოტანა რუსული ენის მახედვით, უნდა შემოვიტანოთ უცხოური ძირი და დაუმატოთ ჩვენი დაბოლოება (პ. მირიანაშვილი); „თუმც რუსული ენა ჩვენთვის ის ძლიერი იარალია, ურომლისოდაც ეკროპულის მეცნიერების მიღება არ შეგვიძლია, მაგრამ რუსულმა ენამ კი მაინც გზა-ქვალი შეუშალა ჩვენს გრამატიკას, ჩვენი ენის ნორმალურ ზრდას“ (ნ. ურბნელი); უცხო სიტყვები საჭიროების შემთხვევაში „უნდა შეითვისოს ენამ... მაგრამ სიფრთხილით, წინმხედველობით, გარჩევით, რომ სივრცე და უმსგაესოება არა შემოგვებაროს რა“ (დიმ. ყიფიანი).

მითუმეტეს დაუშეებლიდა მიჩნეული ჩვენი ენისათვის უცხო გრამატიკული კატეგორიებისა და სინტაქსური კონსტრუქციების შემოღება სხვა ენათა გაელენით. „მამრობითად და მდედრობითად სიტყვის დაყოფა ქართული ენისათვის არას დროს არც ყოფილა და არც არას საჭირო ... ქართული ენა ამას უერ ითვისებს“ (დიმ. ყიფიანი). სქესების შემოღება ქართულში — „ეს არის უკანასკნელი ენის მეცნიერება-ში“ (პ. მირიანაშვილი). „უცხოური კულტურისა და ენის ნორმების ბაზონობისას ადგილობრივი ენა გადავიტრების გზაზე დგება და გაბატონებული ენის ლონეს დაესესხება აზრის გამოთქმის. მაშინ გაბატონებული ენის პრეფექტი გაღმომდის დამონებული ენის ფსიქიკაში და აზრს თვითსებურად გამოითქმევინებს“ (პ. მირიანაშვილი).

21. ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და დახვეწის ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულ იქნა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა. ილია წუხლა, — „ტერმინების უქონლობა მეტის-მეტად აბრკოლებს კაცსაო“, — და ბევრს იღვწოდა ტერმინოლოგიის შესაქმნელად.

„ივერია“ მიესალმება ქართულ ენაზე „დაწყებითი ალგებრის“ სახელმძღვანელოს შედევრას, რითაც გზას იყალვდა მეცნიერული ტერმინოლოგია.

ი. ახალშენიშვილი აყენებს საქოთხს (1901 წ.), რომ ტერმინოლოგიის შესამუშავებლად გამოყენებულ იქნეს ქ.შ. წ. კ. გ. საზოგადოების მდიდარი ფონდები. მა აზრს მხარს უჭერს „ივერიის“ 1902 წ. № 116-ის მეთაური წერილი.

22. „ივერია“ მიეკიდა იმ აზრამდე, რომ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საყითხები უნდა გადაწყდეს არა პრესაში პაქტობით ან ინდივიდუალური წესით, არამედ სპეციალისტთა თავირილობაზე მსჯელობის შედევრად.

1886 წ. სარედაქტო წერილში „ივერია“ იუწყებოდა: „ჩვენ ვარჩიეთ შეგვეკრიბა რამდენადაც შესაძლოა ქართული ენის მცოდნენი

და ყველა საცილობელი საგრამისიკო საგნები გავერტვია. ამას შე-  
უდექით კიდეცო". 1895 წ. „ივერიაში“ კი გვითხულობთ: „საჭიროა  
ამ საგანჩედ მოლაპარაკება და ამა თუ იმ დადგენილების მიღება“.

ასეთი ზოგადოეორიული საკითხები ისმებოდა „ივერიაში“. ვფი-  
ქრობთ, საინტერესო სურათს მოგვცემს მათი შედარება „დროება“-  
„კვალის“ თანამშრომელთა მიერ წამოყენებულ მოსაზრებებთან. ეს  
მომავლის საქმეა.